

ISSN 1987-8001

№19, 2022



კანონი



№19, 2022 წელი

რედაქტორი:

ნომადი ბართაია

სარედაქციო კოლეგია:

ელენე გიუნაშვილი

თამარ აბულაძე

მაია სახოკია

გულიკო მამულაშვილი

ქეთევან ნიკოლაძე

e-mail: kalamigeo@yahoo.com

ჭელვანის უდაბნო, სამხრეთ ხორასანი, ირანი

გარეკანზე: სოფელი აზმიღანი, თაბასი, ირანი



„ქ ე ღ ე მ ი“ - 19

შინაარსი

ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან

ინტერვიუ ნიკოლოზ ნახუცრიშვილთან	2
აუთანდილ ნიკოლეიშვილი – სეიფოლა იოსელიანის ქართული ღვანლი	8

ირანის ისტორია კულტურა

მაია კაპანაძე – ირანი ჰულაგუიანთა პერიოდში.....	19
---	----

სპარსული პოემის ახალი თარგმანები


რუდაქი, ხაყანი შირვანელი, ჰათეზი შირამელი, ნიმა იუშიჯი, სპარსულიდან თარგმნა ნოდარ ნონიაშვილმა	25
--	----

სხვადასხვა

სამხრეთ ხორასანი- წითელი ოქროს და იდუმალი უდაბნოს მხარე	29
კულტურული მემკვიდრეობა.....	31
მუზეუმები.....	34
ხელოსნობა, რეწვა.....	36

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები ირანში

ირანის სომხური ეკლესიების ანსამბლი.....	39
---	----



ინტერვიუ ნიკოლოზ ნახუჭრიშვილთან



–ირანის ისლამური რესპუბლიკა ერთ-ერთი უპირველესი იყო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, რასაც მოჰყვა ქვეყნებს შორის საელჩოების გახსნა. საქართველოს პირველმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯემშიდ გიუნაშვილმა კონსულად თქვენი კანდიდატურა შეარჩია და ასე დაიწყო თქვენი დიპლომატიური მოღვაწეობა ირანში, რომელმაც სხვადასხვა რანგში დიდხანს გასტანა. მოგვიყევით, როგორი იყო საქართველოს საელჩოსა და თქვენი პირველი ნაბიჯები ირანში? რა გააკეთა ჩვენმა საელჩომ ერთმანეთის გაცნობისა და დაახლოების თვალსაზრისით?

–დიდ მადლობას გიხდით საინტერესო კითხვისათვის. ერთს აღვნიშნავ, რომ ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემის შემთხვევაში უურნალის რამდენიმე ნომრის მთლიანად ჩემთვის დათმობა მოგიწევთ. ერთი ცნობილი გამომცემლობის შეთავაზებით 2016 წლიდან დავიწყე ირანული მოგონებების წერა, სადაც ვიხსენებ თეირანში საქართველოს საელჩოს პირველ დღეებს, როცა ნულიდან ვიწყებდით საელჩოს აწყობას, ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყის ეტაპს, პირველ ოფიციალურ ვიზიტებს და ა.შ. იმედია, ოდესმე ბოლომდე მივიყვან ამ საქმეს. რაც შეეხება ჩემს დანიშვნას ირანში საქართველოს პირველ კონსულად, უნდა ვივარაუდო, რომ ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილის არჩევანი განაპირობა ორმა მომენტმა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი მასწავლიდა თანამედროვე სპარსულ ენას, ხოლო შემდეგ იყო ჩემი უშუალო ხელმძღვანელი გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, როგორც დირექტორის მოადგილე და ინდურ-ირანული ენების განყოფილების გამგე, ანუ მან კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობები.

–პირველად მიეცა საქართველოს, ირანთან მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, სრულუფლებიანი კაუშირის დამყარების საშუალება. როგორ აისახა ეს ურთიერთობებში? თუ იჩინა თავი სიძნელეებმა?

–პირდაპირი ურთიერთობების საწყისი წლები გაცნობითი ხასიათისა იყო. ორივე მხარეს გააჩნდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობიდან სარგებლის მიღების გარკვეული მოლოდინები და იმედები. შემდგომმა წლებმა აჩვენა, რომ ამ ურთიერთობებზე გარე ძალების პირდაპირი თუ ირიბი გავლენებისა და ჩარევების მიზეზით ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც თავიდან ეჩვენებოდათ მხარეებს.

–თქვენ იყავით კონსული და თქვენს ხელში უნდა გავლო მოქალაქეებს, ირანიდან თუ საქართველოდან, ასე ვთქვათ, რომელი მხრიდან უფრო გაჩვენებოდათ ამ მხრივ ნაკადი?

–პირველი მივლინების პირველი ორი თვე (1994 წლის

31 ოქტომბრიდან ამ წლის ბოლომდე) საელჩოს კანცელარიის გამგე ვიყავი, 1995 წლის 1 იანვრიდან 1999 წლის ივნისის ბოლომდე კი საკონსულო სამსახურს ვუძღვებოდი. მაშინ ორმხრივად გვექონდა სავიზო რეჟიმი. ძირითადად, ირანიდან საქართველოში სხვადასხვა



სფეროს დელეგაციები და ბიზნესმენები მოდიოდნენ. განსაკუთრებულად დიდი დატვირთვა მქონდა საქართველოში ირანული საეაჭრო-სამრეწველო გამოფენების გამართვის წინ, როდესაც ერთი-ორი დღის (ზოგჯერ, ღამის) განმავლობაში ასი ან მეტი ვიზა უნდა გამეცა. როგორც წესი, ირანელ ორგანიზატორებს გამოფენის დაწყებამდე მხოლოდ ერთი-ორი დღით ადრე მოჰქონდათ მონაწილეთა პასპორტები. ისიც გაითვალისწინეთ, რომ „საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელობა“ ცოტა ხმამაღალი ნათქვამი გამომდის. ამ სამსახურში მე მარტო ვიყავი. მხოლოდ საელჩოს უცვლელი კარისკაცი მეჰრად ფარაჰბახში ხანდახან მეხმარებოდა იმით, რომ საელჩოს კარებიდან ჩემს ოთახამდე მოჰყავდა გასაუბრებაზე ვიზის მოსურნე ან უკან მიჰქონდა უკვე ვიზაჩარტყმული პასპორტები. ჩემი შვებულების პერიოდში სავიზო საქმეს ელჩი გადაიხარებდა ხოლმე. საკონსულო საქმიანობა მხოლოდ ირანელებისათვის ვიზების გაცემით არ შემოიფარგლებოდა. მიხდებოდა საქართველოს მოქალაქეების საქმეების მოგვარებას. ჩვენები ჯგუფური ტურისტული ვიზებით კი ჩამოდიოდნენ თეირანში, მაგრამ სინამდვილეში მათი უმეტესობა წვრილი და საშუალო ბიზნესით იყო დაკავებული. ყველას ჰყავდა ირანელი პარტნიორი, რომელთა მეშვეობითაც ისინი იძენდნენ და აგზავნიდნენ საქართველოს ბაზარზე სხვადასხვა დეფიციტურ საქონელს. ძირითადად, ეს ურთიერთობები ნდობაზე იყო აგებული, რაც ზოგჯერ ამართლებდა, ზოგჯერაც – ვერა. ჩნდებოდა პრეტენზიები საქონლის

ხარისხზე, გაგზავნის ვადების დარღვევაზე, ფულის გადახდის დაგვიანებაზე... იყო ე. წ. „გადაგდების“ შემთხვევებიც. უკმაყოფილო მხარეები მომმართავდნენ ხოლმე ერთი მეორეზე საჩივრით. ვცდილობდი მათ მორიგებას, რომ საქმე უფრო მეტად არ გამწვავებულიყო. მიწვედა ირანული კანონების დამრღვევი და დაკავებული ჩვენი მოქალაქეების საქმეების დევნაც. სამწუხაროდ, რამდენჯერმე მომიხდა ირანში გარდაცვლილი თანამემამულეების ცხედრების საქართველოში გადმოსვენების პროცედურების ჩატარებას. მაშინ ავიარეისები კვირაში ერთხელ, პარასკევობით სრულდებოდა და მე და ჩვენი საჰაერო ხაზების წარმომადგენელი და ამავდროულად საელჩოს კანცელარიის გამგე კახა მიქელაძე პრაქტიკულად მეჰრაბადის აეროპორტში ვათევდით ყოველი პარასკევის ღამეს. ვაცილებდით და ვხვდებოდით რეისებს და შეძლებისდაგვარად ვაგვარებდით ჩვენი მგზავრების პრობლემებს. ეს, რაც შეეხებოდა საკონსულო საქმიანობას. რადგან ჩვენი საელჩო პატარა იყო, სხვა საქმეებიც არ მაკლდა. იმ დროს ხშირი იყო ოფიციალური ვიზიტები სხვადასხვა დონეზე. მიწვედა ირანის პრეზიდენტებთან და სხვადასხვა მინისტრებთან მათი შეხვედრების თარგმნა, ვიზიტების საქმიანი და კულტურული ნაწილების ფარგლებში დელეგაციების თანხლება ირანის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში, ქარხნებში, თეირანის მუზეუმებში, შირაზსა და ისპაჰანში. ვხუმრობდი, რაც ისპაჰანში დავდივარ, ამდენი მცხეთაში არ მივლია-მეთქი. საქართველოში შვებულებით ყოფნის დროსაც მიხდებოდა ირანული დელეგაციების ვიზიტებში ჩართვა და ოფიციალური შეხვედრების თარგმნა.

– არაერთხელ ვყოფილვარ ირანში, როგორც ცალკე, ისე ჯგუფთან ერთად, ამ დროს წამითაც არ მოგვკლებია თქვენგან ყურადღება, რისთვისაც ახლა გიხდით მადლობას. მართალია, თქვენი მოვალეობა იყო ჩვენთვის სამსახურის გაწევა, მაგრამ ზედმეტად ხომ არ გაწუხებდით, გაუგებრობით რაიმე პრობლემას ხომ არ გიქმნიდით?

– კონსულის მოვალეობა იყო და არის ის, რომ ადგილსამყოფელ ქვეყანაში იქაური კანონების ფარგლებში არ დაირღვეს მისი თანამემამულის უფლებები. მაგალითად, ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა რომელიმე გზაბნეული ან ფულდაკარგული ქართველი ტურისტის „მწყემსვა“, ჩემს სახლში რამდენიმე ღამით ნაყვანა, აეროპორტში მისი ბარჯის ზედმეტი წონის ფულის გადახდა და ა.შ. ამას მე ჩემი ნებით, ადამიანურად ვაკეთებდი. საბედნიეროდ, სამეცნიერო-კულტურული ხაზით ჩამოსულები ამგვარ პრობლემებს ნაკლებად ქმნიდნენ. რამდენჯერმე თქვენც გახდით ამის მონაწილე.

-განდა კონსულობისა, წლების განმავლობაში იყავით მრჩეველი, საქართველოს დროებითი წმენდილი. მოგვიყევით რაიმე ამ რანგში თქვენი მოღვაწეობიდან.

-ჩემი მეორე მივლინება ირანში 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2013 წლის გაზაფხულზე დამთავრდა. ამჯერად თეირანში ჩავედი მრჩეველის რანგში. გამომვიდა ორი 4-წლიანი მივლინება ჯერ ბ-ნ ლევან ასათიანის ელჩობისას (2004-2009 წწ.), შემდეგ კი ელჩის, ბ-ნ გიორგი ჯანჭღავას დროს (2009-2013 წწ.). 2009 წელს, როდესაც წინა ელჩი წავიდა და ახალი ჯერ არ იყო ჩამოსული, რამდენიმე თვე ვიყავი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი. ძველი გამოცდილებით, ამ რვა წლის მანძილზე სისტემატურად ვითავსებდი კანცელარიის გამგის და კონსულის მოვალეობას, როცა მოქმედი გამგე და კონსული გადიოდნენ შვებულებაში. 2009 წლის ზამთარში კი თითქმის ერთი თვე საელჩოში მხოლოდ მე დავრჩი ელჩის, კონსულის, კანცელარიის გამგისა და ფინანსური მენეჯერის მაგივრად, როდესაც ე.წ. „არდებლის საქმის“ მიზეზით ორმხრივ ურთი-ერთობებში სერიოზული ბზარი გაჩნდა და ჩვენი მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვიერი მითითებით ფაქტიურად განხორციელდა საელჩოს ევაკუაცია. მე ამ დროს უკვე აღებული მქონდა შვებულება და თბილისში მოვფრინავდი დედის ორმოცზე, მაგრამ საქმემ ასე მოითხოვა და საკუთარი ხელით დავწერე განცხადება შვებულებაზე უარის თქმის შესახებ. საბედნიეროდ, ჩემგან „მეორე პაატა“ ან „მეორე გრიბოედოვი“ არ გამოვიდა. ახლა ამას მხიარულად ვიხსენებ, მაგრამ მაშინ ასე არ იყო.

-ცნობილია ქართულ-ირანული კულტურული ურთი-ერთობანი, რა გააკეთა ამ მხრივ ჩვენმა დიპლო-მატიურმა სამსახურმა?

-საბედნიეროდ, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური

ურთიერთობების აღმართ-დაღმართები მხოლოდ უმნიშ-ვნელოდ ახდენდა გავლენას კულტურულ და სამეცნიერო თანამშრომლობაზე. პირველი მივლინების საწყის წლებში საელჩოს ბიუჯეტში იყო მუხლი, რომელიც გულისხმობდა უცხოეთში გაჭირვებული თანამემამულის დამხარებას, თუმცა თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ ის რამდენიმე ათასი აშშ დოლარი პირველ რიგში მოხმარდებოდა ირანელ ქართველებთან კულტურული საქმიანობის წარმართვას. ელჩის, ბ-ნ ჯემშიდ გიუნაშვილის ინიციატივითა და გარჯით იმ პერიოდში გამოიყა არაერთი წიგნი ქართულ და სპარსულ ენებზე, რომელიც ემსახურებოდა ირანის ქართველობაში ქართული ენის შენარჩუნებას და ასევე, საზოგადოდ ირანელებისათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობას. სამწუხაროდ, შემდგომ ეს მუხლი „იმსხვერპლა“ ფინანსურმა კრიზისმა. მეორე მივლინების პერიოდში უნდა აღვნიშნო ორი ქვეყნის საელჩოების კოორდინაციით თეირანსა და თბილისში გამართული რამდენიმე სერიოზული ფერწერული გამოფენა, ირანის ისლამური რევოლუციის დღესასწაულისას ე.წ. „ფაჯრის დეკადის“ ფარგლებში კულტურულ ღონისძიებებში ქართული თეატრალური დასებისა და ცეკვის ანსამბლების მონაწილეობა. თბილისში ირანის კულტურული წარმომადგენლობის გახსნის შემდეგ კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდა. სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი ირანში ყოფნის დროს ხუთმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ მიიღო ირანის ყველაზე პრესტიჟული პრიზები: ირანის წლის საუკეთესო წიგნის პრიზი (თანმიმდევრულად, გიორგი ლობჟანიძე, მაგალი თოდუა, ჯემშიდ გიუნაშვილი და ბელა შალვაშვილი) და ფარაბის სამეცნიერო პრიზი (გიორგი სანიკიძე). 2013 წელს ირანიდან დაბრუნების მერვე ვაგრძელებდი საგამოფენო საქმიანობას. ჩვენი სამხატვრო აკადემიისა და კერძო გალერეების



მხარდაჭერით ჩავატარე ცნობილი მხატვრების გიგელა ვარგა-სინაის და ნასერ ფალანგის და ვეტერანი ფოტოგრაფის ქაშან ადლის გამოფენები. თეირანშიც და თბილისშიც საკუთარ ხარჯებს არ მოვრიდებოვარ. ყველა ღონისძიებას აქ ვერ გავიხსენებ. ნამდვილად არ იყო ცოტა. სამეცნიერო სფეროშიც ვცდილობდი, რომ ჩვენს მეცნიერებს არ გამოორჩენოდათ ირანში გამართული მნიშვნელოვანი ფორუმები და კონფერენციები და პირიქით, წამყვან ირანელ მეცნიერებს საკუთარი თავი გაეცნოთ ქართული სამეცნიერო წრეებისათვის.

–რა გვეტყოდით ფერეიდნელებთან ურთიერთობების შესახებ?

–ირანელ ქართველებთან ურთიერთობა ჩვენთვის მეტად საყურადღებო საკითხია. მათ უმეტესად ფერეიდნელ ქართველებად ვიცნობთ, რადგან ფერეიდანში შენარჩუნებულია ქართული დიალექტი. ირანის სხვა პროვინციებში მცხოვრებ ქართველებს კი წინაპრების ენა დაკარგული აქვთ. ზევით უკვე აღვნიშნე ფერეიდნელ ქართველებთან კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ შეტანილი წვლილი. მისი ინიციატივით პირველად ოფიციალურად მოხერხდა ქართველი დიალექტოლოგების (პროფ. თ. უთურგაიძე, პროფ. დ. ჩხუბიანიშვილი) მივლინება ფერეიდანში. საელჩოში ხშირად იმართებოდა ღონისძიებები ფერეიდნელი ქართველების მონაწილეობით. ეს ტრადიცია შემდგომმა ელჩებმაც გააგრძელეს. საქართველოს ეროვნული დღის წვეულებას ყოველთვის ესწრებოდნენ ფერეიდნელები. ბოლო ორი ათწლეულის სასიკეთო ტენდე-ნციად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველი მეცნიერები არ იფარგლებიან მხოლოდ ფერეიდნით და საკუთარ მხერას აპყრობენ მაზანდარანელ, გილანელ, ლურისტანელ და კიდევ სხვა ირანული პროვინციების ქართველებს. ამოუწრავე თემაა, საინტერესო ორივე ქვეყნისათვის. უნდა ვეცადოთ მეტი ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. არ უნდა დავკარგოთ დამოუკიდებლობის წლების მანძილზე ირანულ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობაში დაგროვილი პოტენციალი და გამოცდილება.

–თქვენ მეცნიერი ზრძანდებით. მოკლედ თქვინი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ?

–მადლობა კომპლიმენტისათვის. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1977 წლიდან აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიმიყვანა ბატონმა ჯემშიდმა. პროფესორ თეო ჩხეიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით 1988 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სათაურით „სპარსული ენის



პრევერები“. საბჭოთა კავშირის დაშლას და თეირანში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოს გახსნას მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, მაგრამ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. უკვე 1991 წელს ქართველ ირანისტთა დამოუკიდებელი დელეგაცია მონაწილეობდა გერმანიაში ქ. ბამბერგში გამართულ ევროპის ირანისტთა ასოციაციის კონგრესში და ცნობილ ქართველ ირანისტებთან (ჯემშიდ გიუნაშვილი, ალექსანდრე გვახარია, გრიგოლ ბერაძე) ერთად მეც წარვადგინე იქ მოხსენება. მერე იყო პირველი ირანული მივლინება, როდესაც დრო სამეცნიერო საქმიანობისათვის ფაქტურად არ მრჩებოდა. თბილისში დაბრუნებისას, 1999 წლიდან თ ს უ-ს ირანისტიკის კათედრის გამგის, პროფესორ ალექსანდრე გვახარიას ინიციატივით, ნახევარ შტატზე მუშაობა დავიწყე ამ კათედრაზე. ბატონი ალექსანდრეს უდროო ვარდაცვალების შემდეგ 3 წლით მე ვხელმძღვანელობდი ამ კათედრას, ვიდრე არ გამოჩნდა ირანში მეორე დიპლომატიური მივლინების პერსპექტივა. ამ დროს ჩვენს უმაღლესი განათლების სისტემაში უკვე დაწყებული იყო საკმაოდ მტკივნეული რეფორმები. მე არაფერი მემუქრებოდა, მაგრამ მაინც გაცლა და ჩვენი ირანისტიკისათვის თეირანიდან მსახურება ვარჩიე. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი. 2013 წლიდან კვლავ მშობლიურ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვარ, რომელიც უკვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ დამხვდა. ცოტა ხანი თ ს უ-შიც მქონდა პედაგოგიური საათები. ამჟამად მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობით ვარ დაკავებული. ილიაუნის მხარდაჭერით 2014 წელს განვახორციელე პროექტი მაზანდარანელი ქართველების შესახებ. ამ თემაზე სტატიებისა და მოხსენებების გარდა, ილიაუნის გავმართე საკუთარი ფოტოების გამოფენა სათაურით „ქართული მაზანდარანი“. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მონაწილეობა მივიღე რამდენიმე სამეცნიერო პროექტში. ჩვენი ინსტიტუტის ერთი 18-თვიანი პროექტი მიძღვნა თეირანის დეულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველებს

და გამოვიდა საინტერესო სამეცნიერო სტატიების კრებული. რომ არა კოვიდ-პანდემია, რეალურ სახეს იღებდა იქ მდებარე მინადორა ხომბარაიას აკლდამის რესტავრაციის პროექტი, რომელშიც უნდა ეთანამშრომლათ ორი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებს. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტოლოგების მიწვევით (ქალბატონები მარინე ბერიძე, ლია ბაკურაძე) ჩავერთე პროექტში „ქართული ენობრივი კუნძული ტრანსენთნიკურ არეალში“, რომელიც ეხებოდა ფერეიდნულ დიალექტს. ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი პროექტი გამოვიდა. 2017 წელს თეირანში სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიაში გავმართეთ სხდომა თემაზე „ქართული ენა ირანში“, რომელმაც დაიმსახურა ამ აკადემიის პრემიის დიპლომის, ცნობილი ირანელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, დოქტორ ყოლაამალი ჰადად-ადელისა და დამსწრე ირანელი სპეციალისტების მონაწილეობა. 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარდგენილი იყო ჩვენი თანამშრომლობით შედგენილი „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი“. 2019 წელს ბერლინში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე,



რომელიც ეძღვნებოდა ენობრივ კონტაქტებს ირანში, ქართველ მეცნიერებს დაგვეთმო ცალკე პანელი. პროექტი დაგვირგვინდა მნიშვნელოვანი პუბლიკაციებით, რომელთა ხილვა შეიძლება რუსთაველის ფონდის ვირტუალურ ბიბლიოთეკაში.

–ზოლოს ზედიზედ გამოვიდა ოთხი წიგნი ქართულ-ირანულ ურთიერთობებზე, რას გვეტყოდით მათ შესახებ?

–ლექსიკონი უკვე ვახსენე. ამავე პროექტის ფარგლებში მე დავწერე და 2020 წელს გამოვაქვეყნე ნაშრომი „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“. ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში მოვიცაფი ირანის სხვადასხვა პროვინციების ისეთი დასახლებები, რომლის მოსახლეობა თავს ქართველებად მიიჩნევს, მაგრამ

დაკარგული აქვს წინაპრების ენა. ეს ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. საგზაო რუკად, თუ სად და რა მიმართულებებით უნდა გაგრძელდეს უფრო ღრმა და კომპლექსური კვლევები. ჩვენი დიალექტოლოგიური ჯგუფის ბედზე, მე მოვიბოვე საგარეო საქმეთა სამინისტროს „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ გრანტი, რამაც 2020 წელს კიდევ ორი წიგნის დაბეჭდვის საშუალება მოგვცა. ეს ნაშრომებია „ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე“ (ავტორები: ნ. ნახუცრიშვილი, მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე) და „ფერეიდნული ქრონიკები. პრესისა და არქივის მასალები ირანის ქართველების შესახებ“ (შემდგენელები: მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. ნახუცრიშვილი, ე. ნაპირელი, მ. ბარისაშვილი). ამჟამად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვასრულებთ რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ კიდევ ერთ სამწლიან პროექტს „ახალი დოკუმენტები და მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“. ვფიქრობ, რომ ჩვენმა გუნდმა (გრიგოლ ბერაძე, თამაზ აბაშიძე, გიორგი სანიკიძე, თამარ ლეკვეიშვილი და მე) შექმნა საინტერესო, ორიგინალური და მრავალფეროვანი სამეცნიერო პროდუქტი, რომელიც მალე გამოვა სტატიების კრებულის სახით.

–რას გვეტყოდით ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კვალითფუკა-ციის ამაღლების შესახებ ირანის უმაღლეს სასწავლებლებში.

–ირანული მხარე მუდმივად იჩენდა ყურადღებას საქართველოში ირანისტიკის განვითარების მიმართ. ეს გამოიხატებოდა ამ დარგის ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვადაიან სტაჟირებებში ირანის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში. ირანში დიპლომატიური მისიით ყოფნისას ჩემთვის ერთობ სასიამოვნო იყო ამგვარი დელეგაციებისადმი ზრუნვის გამოჩენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ირანული მხარე არაერთხელ მასპინძლობდა თბილისის იმ სკოლის მოსწავლეებსაც, რომლებიც არჩევით სწავლობდნენ სპარსულ ენას.

–როგორ ექცევიან ირანელები თავიანთ ენასა და კულტურას?

–სპარსული ენა ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. სპარსული ენა და უმდიდრესი სპარსული ლიტერატურა ირანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ირანის სახელმწიფო ზრუნავს ამ მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე. საბედნიეროდ, ჩვენი ირანისტიკის მრავალი თაობის მეცნიერებისა და მთარგმნელების მეცადინეობით, ქართული საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს როგორც ირანულ კულტურას, ასევე

ძველ, კლასიკურ და თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას.

-რა წარმოდგენის არიან ირანელები ქართველებზე?

-ირანელი გულგრილი არ რჩება, როდესაც ესმის სიტყვა „გორჯი“ ან „გორჯესთან“. ამას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მე არ შემხვედრია ჩვენზე ცუდი წარმოდგენის მქონე ირანელი. იმედია, არ ვცდები.

-რა წარმოდგენის იყავით ირანელებზე ირანში ჩასვლამდე და როგორის გახდით მერე?

-ირანზე კარგი წარმოდგენა ბავშვობიდანვე მქონდა, რადგან მამაჩემი გრიგოლ (გივი) ნახუცრიშვილი ირანისტი იყო. ჩემი პროფესიული არჩევანიც ამან გადაწყვიტა, რასაც არ ვნანობ. თუ ვნანობ, მხოლოდ იმას, რომ მამაჩემი ვერ მოესწრო თეირანში საქართველოს საელჩოს გახსნას და ირანის უნახავი, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. მე პირველად 39 წლისამ დავდგი ფეხი ირანის მიწაზე. ჩემთვის ნამდვილად უცხო და ამაღლებველი შეგრძნება იყო ის ფაქტი, რომ მე მხვდა 80-მილიონიან ირანში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსულოს პატივი. ირანში ცამეტი წლის მანძილზე შევიძინე ბევრი მეგობარი, გავიცანი მრავალი მეცნიერი და ხელოვნების მოღვაწე, დავამყარე საქმიანი კავშირები არაერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრთან. ირანში ორმა მივლინებამ მე უდიდესი გამოცდილება შემძინა და, ვფიქრობ, უკეთესი გამხადა. იმედია, ირანელი მეგობრებიც ასე ფიქრობენ ჩემზე.

-ხომ არ მოიგონებდით რაიმე კურიოზს?

-ირანში ორივე მივლინებისას კოლეგა-დიპლომატებთან ერთად რეგულარულად ვთამაშობდით ფეხბურთს. იმართებოდა ტურნირები საელჩოებს შორის. 1998 წელს ვკაპიტნობდი შერეულ გუნდს, რომელსაც ერქვა




„Caucasus International“. გუნდის ბირთვს ქართველები და აზერბაიჯანელები შევადგენდით, მაგრამ დამატებული გვყავდნენ თითო უნგრელი, ტაჯიკი და სამხრეთათურქული. იმ ტურნირში ჩვენ მოვუგეთ იტალიას, საფრანგეთს და გერმანიას და მხოლოდ ნახევარფინალში დავმარცხდით რუსეთთან, რომელსაც ძალიან გრძელი სკამი ჰქონდა. პირველ ტაიმში 2:1-ს ვიგებდით, მაგრამ მეორე ტაიმში ძალები არ გვეყო და 2:4 წავაგეთ. სამაგიეროდ მე იმ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მივიღე. რით არაა კურიოზი?

-რას ისურვებდით ირან-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით?

-პირველ რიგში გვინდა მშვიდობა რეგიონსა და მთელ მსოფლიოში. ორმხრივ ურთიერთობებში კი მინდა ვისურვო გარე ზეგავლენებისაგან უფრო მეტად თავისუფალი საქართველო. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა საინტერესო კითხვებისათვის.

-მადლობა თქვენ, ასეთი საინტერესო პასუხებისთვის.

ესაუბრა ნომადი ბართაია



სეიფოლა იოსელიანის ქართული ღვაწლი



ავთანდილ ნიკოლეიშვილი

სეიფოლა იოსელიანი ფერეიდანში მცხოვრები არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი და მეტად დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება იყო, ფერეიდნელ ქართველთა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოჩენილი ის მამულიშვილი, რომელმაც აქტიური პრაქტიკული საქმიანობითა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული ცნობიერების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში. საქართველოს იგი 1922-1923 წლებში, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, სტუმრობდა. წინაპართა სამშობლოში მისი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი ფერეიდანში ქართული სკოლის დააარსება იყო.



სეიფოლა-ხან იოსელიანი

სეიფოლას მოღვაწეობის წარმომჩენი მასალების მოძიებაში დიდი დახმარება გამიწია მისმა შვილთაშვილმა, ამჟამად ისპაჰანში მცხოვრებმა ცნობილმა მხატვარ-კალიგრაფისტმა, ქალბატონმა ჰელენ იოსელიანმა. კერძოდ, ქართველი საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებასთან დაკავშირებით მისი საოჯახო არქივიდან მან არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მომანოდა. ქალბატონი ჰელენის მიერ მოწოდებული ეს მასალები სპარსული ენიდან ქართულად მითარგმნეს ირანში დიდი

ქართული საქმეებისთვის საფუძვლის ჩამყრელმა მამულიშვილმა საიდ მულიანმა და ცნობილმა ირანისტმა ნომადი ბართაიამ, რისთვისაც მინდა, მათ გულითადი მადლობა მოვასხენო.

სეიფოლა იოსელიანი დაიბადა 1887 წელს ირანში, ისპაჰანის მხარის ფერეიდანის ოლქის ქართულ სოფელ ახორე ოლიაში (ქართული სახელწოდებით – ზემო მარტყოფში) იქაური ხანისა (მემამულის) და სასულიერო პირის – ჰაჯი მოჰამად ჰასანისა და მისი მეუღლის – ხადიმეჰის ოჯახში. გარდაიცვალა 1934 წელს. დასაფლავებულია იმავე სოფელში.

ჩვენს ქვეყანას სეიფოლა 1922 წლის შემოდგომაზე ეწვია და აქ ერთი წლის განმავლობაში დარჩა. მის ჩამოსვლას იმდროინდელი ქართველი საზოგადოება უდიდესი ინტერესით შეხვდა. საქართველოში სეიფოლა მხოლოდ საკუთარი სურვილით კი არ იყო ჩამოსული, არამედ მისთვის მთელი ფერეიდანის ქართველ მოსახლეობას ჰქონდა მიცემული „მინდობილობა ხელმონწერთ, თავიანთი ბეჭდის დასმითა და იმის თხოვნით, რომ ქართველმა ერმა და მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მას.“

იმ გარემოებას, რომ სეიფოლა იოსელიანი საქართველოში, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მიზნით იყო წარმოგზავნილი, იმდროინდელ ქართულ

პრესაში მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილების უმეტესობაში ესმებოდა ხაზი. მაგალითად, გაზეთ „მუშაში“ დასტამბული ინფორმაციითაც, „ის გამოუგზავნია იქაურ ქართველობას, რათა მან იშუამდგომლოს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ მან მიიღოს ზომები ისტორიული უკუღმართობის წყალობით უცხოეთში გადასახლებულ თანამოძმეთა კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად“ (გაზ. „მუშა“, 1922 წ. 15 დეკ.).

იქიდან გამომდინარე, რომ ფერეიდნელ ქართველებს სახელმწიფო სტრუქტურებში მაშინ არც ერთ დონეზე არ ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი, ხსენებული წერილი, ბუნებრივია, იქაურ ქართველთა წერილობითი თხოვნა იქნებოდა და არა რომელიმე უწყების სახელით გამოგზავნილი ოფიციალური დოკუმენტი. ამას გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული სოსო ასლანიშვილის ის წერილიც ადასტურებს, რომელიც ავტორს სეიფოლა იოსელიანთან საუბრის შედეგად დაუნერა. ს. ასლანიშვილი არა მარტო ზოგადად საუბრობს ფერეიდნელ ქართველთა მიერ საქართველოს მთავრობისთვის გამოგზავნილ წერილზე, არამედ მისეულად ინტერპრეტირებული ფორმით კონკრეტული ფრაგმენტებიც მოაქვს ამ წერილიდან. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ნაწყვეტს ხსენებული პუბლიკაციიდან:

მათ „ახლა იციან, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალია. ისინი თავიანთ თვალს აქეთ მოაპყრობენ და დიდი იმედებით არიან საქართველოსადმი განმსჭვალული, რათა ასე თუ ისე გაიუმჯობესონ თავისი მეტად არა სასიამოვნო არსებობა. ამ კეთილ და პოლიტიკურად მნიშვნელოვან საქმის დასაწყისისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა შეიქმნეს თეირანში წარმომადგენლობა განსაკუთრებული დავალებით, რათა იზრუნოს ჩვენ თანამემამულეთა საქმეებისთვის, რომელნიც ისტორიულ ბედისა გამო ჩავარდნილან სპარსეთის ქვეშევრდომობაში. ეს კომისია ვალდებული იქნება ესწრაფოს მათი ცხოვრების გაუმჯობესებას, განათლების გავრცელებას მათ შორის, მოაგვაროს მათგან წარმომადგენლობა მეკლისში, მჭიდრო კავშირი ჩამოაგდოს მათ და საქართველოს შორის, მათი ბავშვების გამოგზავნა საქართველოში სწავლის მისაღებად და სხვა. კომისია ანუ წარმომადგენლობა საქართველოდან - ვალდებული იქნება, გაეცნობა ყოველმხრივ მდგომარეობას ადგილზე, თვითონვე გამოარკვევს მოქმედების გეგმას და თანახმად ამისა, შეასრულებს მიმდინარე დავალებებს სპარსეთის მთავრობის წინაშე - სპარსეთის ქართველებისგან ამორჩეულ პირთა თანდასწრებით“ (გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 17 ნოემბერი).

ფერეიდნელ ქართველთა საჭირობოროტო საკითხების წარმომჩენ და მათ მოსაგვარებელ გზათა განმსაზღვრელ ამ მოთხოვნას სეიფოლა იოსელიანი პუბლიკაციის ავტორთან საუბარში საბოლოოდ ასეთ კომენტარს უკეთებს: „ჩონ ფული ხომ არ გვირდაყე, ჩონთვის კაცია საჭირო, რომ თავს გვაჯდეს, იყოს ჩონი თავმჯდომარე, სპარსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად... ერთი, ორი მასწავლებელი, რომელიც ჩონც გვასწავლის და ჩონს ბავშვებსაც; ერთი აქიმი, რომელიც ჩონჩი იშუაავებს და თუ ორი კაცი განკურნა, ხომ მთელი ხალხიც მას გაჰყვება.“

საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრებზე სეიფოლა ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ფერეიდნელ ქართველებს სახელისუფლებო ორგანოებში ერთი კაციც კი არ ჰყავდათ ისეთი, „რომელიც გამოესარჩლებოდა მათ და ხმას აღიმაღლებდა მათ სასარგებლოდ. ასეთი კაცის გაგზავნა კი საჭირო იყო საქართველოდან წარმომადგენლის ან ელჩის სახით“ (გაზ. „ტრიბუნა“, 1922, #344).

სეიფოლას ინფორმაციით, ფერეიდნელ ქართველთა უნუგეშო და უუფლებო მდგომარეობას კიდევ უფრო უპერსპექტივოს ხდიდა ის გარემოება, რომ მათ იმხანად არც რაიმე სახის სასწავლებელი ჰქონდათ და მათ შორის არც წერა-კითხვის მცოდნე იყო ვინმე.

როგორც პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ნათლად ჩანს, საქართველოში ყოფნის პერიოდში სეიფოლას მიმართ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებიც იჩენდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და თინანსურ დახმარებასაც უწევდნენ მას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ირანელი სტუმრისადმი საქართველოს მთავრობის ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო ეროვნულ-პატრიოტული ინტერესებით იყო განპირობებული, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა იმპერიის იმუამინდელი ხელისუფლების ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს თავისი გავლენის სფეროში სპარსეთის სახელმწიფოს მოქცევა წარმოადგენდა და ამის მისაღწევად, ეტყობა, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა ინტერესების მოსარჩლეობაც იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

გარდა წმინდა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინებისა, სწორედ ზემოთ აღნიშნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თავისებურ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ ის მოწოდება, რითაც ს. ასლანიშვილი მიმართავს ქართველ საზოგადოებას თავისი პუბლიკაციის ბოლოს: „საჭიროა, ქართველთა ექსპედიციის შედგენას და მათი გაგზავნის მზადებას დღესვე შევედგეთ. მით უმეტეს, რომ მსურველები უკვე არიან. უნდა გაემგზავროს სპარსეთისაკენ სათანადო დავალებით აღჭურვილი და

მასთანვე წიგნებით, სამოსწავლო ნივთებით და წამლებით დატვირთული, დაიმედებული იმით, რომ ასეთი განზრახვა და შრომა არ ჩაივლის უნაყოფოდ“ (გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 17 ნოემბერი).

ფერეიდნელ ქართველებთან კავშირ-ურთიერთობის განმტკიცება მართლაც რომ წარმოდგენდა საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: „1922 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ დაავალა განსახკომს მოეწყო ექსპედიცია ირანის ქართულ კოლონიებში რსფსრ წარმომადგენლობის მეშვეობით და წაეღოთ ქართული გაზეთები ლიტერატურასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი დიპლომატიური ღონისძიებები გაეტარებინათ ირანში მცხოვრები ქართველების სასარგებლოდ. ასევე გამოყო შესაბამისი თანხა სეიფოლა იოსელიანის დასაფინანსებლად“ (ა. სონღულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბ. 2005 წ. გვ. 125).

ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ამ თანხის გამოყენებითა და ქართველ მამულიშვილთა დახმარებით, საქართველოში ყოფნის პერიოდში სეიფოლამ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და ფერეიდანში დაბრუნებისთანავე დაიწყო მზადება სკოლის გასახსნელად. ამ მიზნით იგი თეირანში საგანგებოდ „შეხვდა მომავალ შაჰს რეზა ხან ფეჰლევის, რომელიც მაშინ სამხედრო მინისტრი იყო და მიიღო ნებართვა თავის სოფელში სკოლის გახსნაზე. იოსელიანი ცდილობდა სასწავლო პროცესი წარემართა ქართულ, რუსულ და სპარსულ ენებზე“ (ა. სონღულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 182).

როგორც ითქვა, ფერეიდანში, საერთოდ, სპარსეთში მცხოვრები ქართველებისადმი საქართველოს ხელისუფლების მიერ იმხანად გამოვლენილი ყურადღება ირანისადმი საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკური კურსითაც იყო განპირობებული. ეს რომ მართლაც ასეა, ამას მთავრობის ორგანიზებით მათთვის საჩუქრების გაგზავნის ფაქტიც ადასტურებს.

აი, რა ინფორმაციას გვანდის ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლების მიერ თეირანში იმხანად სამუშაოდ წარგზავნილი ამბაკო ჭელიძე: „ამ დროს ნ. ყარანგოზაშვილი ახლად ჩამოსული იყო ტფილისიდან თეჰრანში. მას ჰქონდა მანდატი, რომ ის იყო საგანგებოდ გამოგზავნილი განათ. კომისარიატის მიერ ფერეიდნელ ქართველების ცხოვრების შესასწავლად და ასანერად. მისგან მივიღე აგრეთვე მოკლე წესდება ტფილისში დაარსებულ კულტურულ საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულ მუშაობას ქართველ მაჰმადიანებში. მან ჩამოიტანა ერთი ყუთი ქართული

წიგნები, უმთავრესად სასწავლო სახელმძღვანელოები და ბელეტრისტული ნაწარმოებები იმ მიზნით, რომ გავეყვრებოდა ფერეიდნელ ქართველებში. განათლების კომისარიატის სახელით, სხვათა შორის, მეც მივიღე ორიოდ წერილი, თუ როგორ უნდა მივდგომოდით ფერეიდნელ ქართველთა საკითხს მათი ცხოვრების აღწერის მხრივ. ნაწილი მიღებული წიგნების, გაგზავნე ფერეიდანში, ნაწილი – დაუკრივე თეჰრანში მყოფ ქართველებს. ნ. ყარანგოზაშვილს ფერეიდანში წასვლა უნდოდა, მაგრამ საამისო ფული არ ჰქონდა. მან მოთხოვა ა. ხოშტარის (აკაკი ხოშტარია – ცნობილი ქართველი მრეწველი, კომერსანტი და ქველმოქმედი, რომელიც იმ პერიოდში სპარსეთში ცხოვრობდა და აწარმოებდა სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას – ა. ნ.) ამ მიზნით საჭირო თანხა, მაგრამ ხოშტარიამ ამ საკითხს კომერციული თვალთ შეხედა – უარი უთხრა“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 28).

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ამგვარი მხარდამჭერი დამოკიდებულებით იმედმცემულმა სეიფოლამ ჩვენს ქვეყანაში ყოფნის პერიოდში აქტიურად დაიწყო მოქმედება თავისი ეროვნულ-საგანმანათლებლო გეგმების განსახორციელებლად აუცილებლად საჭირო საქმეთა მოსაგვარებლად. ამ მიზნით მან „საქართველოს ცაქს მიმართა თხოვნით, გამოეყოთ სათანადო თანხა ირანში – ფერეიდანში დასაბრუნებლად და ასევე საჭირო სახსრები, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა ფერეიდნელი ქართველი ბავშვებისათვის ესწავლებინა ქართული წერა-კითხვა და ებრუნა მომავალი თაობის აღზრდაზე. მაგრამ საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ მთლიანობაში არ დააკმაყოფილა ეს მამულიშვილური საქმე“ (ა. სონღულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 125).

სეიფოლას ხაზგასმით, მის სოფელ ზემო მარტყოფში, რომელიც ფერეიდანში არსებულ 14 სოფელს – ქვემო მარტყოფს, თელავს, ბოინს, აფუსს, ჩუღურეთს, სიბაქს, ჯაყაყს, დამქვესანას, ნინოწმინდას, ახჩას, შავხურდს, ადაგოლსა და ბაგდანს შორის მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ (ათას კომლზე მეტი) ყველაზე დიდი იყო, მოსახლეობამ არა მარტო მშობლიური ენა იცოდა კარგად, არამედ ზოგიერთი მათგანი ქართულად წერა-კითხვასაც იყო დაუფლებული, ცალკეულ ოჯახებში კი მათი წინაპრების მიერ „ადრე ჩამოტანილი ქართული წიგნებიც იყო დარჩენილი“ (გაზ. „ბახტრიონი“, 1922, 6 ნოემბერი).

სეიფოლას ინფორმაციით, ფერეიდანის ქართულ სოფლებში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 1922 წლისათვის, საქართველოში მისი სტუმრობის დროისათვის, სავარაუდოდ, 30-32 ათასი სული იქნებოდა

და „სუყველა რასაკვირველია ქართულად ლაპარაკობდა.“ მათ „სავსებით ჰქონდათ შერჩენილი ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ენა, ქალებს ქართული ჩაცმულობა: ლეჩაქები და თავსაფარი, პირი არ ჰქონდათ აფარებული.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „რა გასაკვირველი იყო, რომ იქაურ ქართველებს თვალყური ჩვენსკენ ჭეროდათ და საქართველოს სიყვარული ჰქონდათ.“ თავად სეიფოლას სიტყვებითვე თუ ვიტყვი, სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ფერეიდნელები თავიანთ მხარეს „ჩონ საქართველოს“ ეძახდნენ, გონების თვალის მუდამ მისკენ ჰქონდათ მოპყრობილი და „აქეთ უნდოდათ მოსვლა“ (გაბ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 5 ნომბერი).

საქართველოში ყოფნის პერიოდში გამართულ შეხვედრებზე სეიფოლა იოსელიანი იმ მეტად რთულ ურთიერთობაზეც საუბრობდა, რომელიც ფერეიდნელ ქართველებსა და მათ მეზობლად მცხოვრებ ბახტიარებს შორის არსებობდა. მისი ინფორმაციით, ბახტიარებს, რომლებიც ქართული ეთნოსის წარმომადგენლები არიან, „დიდ ძალი იარაღი და შეძლება ჰქონდათ და ფერეიდანის მიდამოებში მათ ვერაფერ ეწინააღმდეგებოდა. მთავრობაც მათ ვერას აკლებდა.“

მომთაბარედ მცხოვრები ამ ეთნოსის შეიარაღებული ბანდები სისტემატურად ესხმოდნენ თავს მათ სოფლებს, ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ ხალხს, რომელთაც ტყვეობიდან მხოლოდ დიდი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ ათავისუფლებდნენ.

სეიფოლას ინფორმაციით, ყოველივე ამის გამო, ფერეიდნელ ქართველებს სისტემატურად უხდებოდათ შეჯახება და თითქმის ბრძოლებიც ბახტიარებთან, უმთავრესად ზაფხულობით, როდესაც ხალხს საქონელი მთაში ყავდა გაყვანილი... მიუხედავად იმისა, რომ ბახტიარები ძლიერ შეიარაღებული იყვნენ, მასთანვე ცხენოსნები, არც ქართველები ნებდებოდნენ ისე ადვილად.

„ჩონი ძველი ქართული სული და სივაჟკაცე კიდევ ჩეგვრჩენიაყე, - ამბობდა სეიფოლა იოსელიანი. - ისე ადვილად არ ვნებდებით, მაგრამ სახლებს გვიწვამენ და ფულსაც ბევრს გვახდევინებენ... თუ ვინმე ჩაიგდეს ტყვეთ, მოითხოვენ მის გამოსასყიდ თანხას და თუ კი ეს თანხა ვერ გადაუხადეს, აწამებენ ტყვეს... წელს ზაფხულში ერთ ხანობაზე ბრძოლის დროს ქართველებს ჩაუგდიათ ბახტიარების ტყვეები და ცხვრები, მაგრამ შემდეგში ისევ დაუბრუნებიათ. არ უნდათ მათთან დამოკიდებულების გამწვავება“ (გაბ. „ტრიბუნა“, 1922, #344).

სეიფოლას მტკიცებით, ასეთ თავდასხმებსა და აკლესიანობას, ფაქტობრივად, მხოლოდ ქართველები განიცდიდნენ, იქაური სომხები, თათრები და სპარსელები

კი – არა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ, მათგან განსხვავებით, იქაურ ქართველებს ხელისუფლების არც ერთ ორგანოში არ ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი. ასე რომ, „ჩონჩი რომ ისე იყვეს, როგორც მაგალითად სომხები, რომელთაც ყავთ ნასწავლი ხალხი, მღვდლები, ვაჭრები, რომელთაც მისვლა აქვთყე სპარსეთის მთავრობასთან და მის განკარგულებით, რასაკვირველია, ისევე ხელუხლებელი ვიქნებოდით, როგორც არიან სომხები. ჩონჩი კი არა გვყავსყე არც ერთი ნასწავლი კაცი და ამისთვის გვჯობნიანყე“ (გაბ. „ტრიბუნა“, 1922, #344).

სეიფოლას აზრით, ეს პრობლემა, საერთოდ, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ყველა საჭირობოტო საკითხი, რეალურად მხოლოდ მაშინ მოგვარდებოდა, თუ სპარსეთში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხთა მსგავსად, მათაც ეყოლებოდათ თავიანთი წარმომადგენლები ხელისუფლებაში. კერძოდ, აი, რა უთქვამს თავად მას ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად: „ჩვენი სურვილია სპარსეთის მთავრობასთან, როგორც რომ სომხებს, ურიებს, რუსეთს ყავთ თავისი „პონსოლი“, ჩვენც დაგვინიშნონ ესეთი კაცი, რომელიც ჩვენს მაგიერათ ილაპარაკებს, ამასთანავე მასწავლებელი და ექიმი – ესეც ჩვენთვის აუცილებელია. მაშინ ჩვენც გვეცოდინება, რომ ჩვენ ქართველებთან გვაქვს კავშირი. აი ამ მიზნით ჩამოვედი საქართველოში“ („ბახტიონი“, 1922, 6 ნომბერი).

ჩვენს ქვეყანაში სეიფოლა იოსელიანის სტუმრობა მნიშვნელოვან მოვლენად იმ თვალსაზრისითაც იქცა, რომ ქართველ ენათმეცნიერთა ცალკეულმა წარმომადგენლებმა, უპირველეს ყოვლისა კი არნოლდ ჩიქობავამ, მისგან ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები ჩაიწერა და სწორედ მათ გასაანალიზებლად დაწერილი ენათმეცნიერული ნაშრომებით ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ფერეიდნელ ქართველთა ენობრივი დიალექტის საფუძვლიან კვლევასა და შესწავლას.

საქართველოდან ფერეიდანში გამგზავრების წინ სეიფოლა იოსელიანისთვის ხელოვნების სახლში ხალხმრავალი გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გაუმართავთ და ჩვენი საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს საპატიო სტუმარი მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გაუცილებიათ ფერეიდანში.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლას იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომ ჩვენს ქვეყანაში მის სტუმრობასთან და ფერეიდნელ ქართველთა მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები ირანში მისი დაბრუნების შემდგომაც არაერთხელ ქცეულა განსჯის საგნად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „მუში“ 1925 წლის 11 იანვრის ნომერში ვ. ბ-ს ინიციალებით გამოქვეყნებული წერილი, რომლითაც

ავტორი მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებდა საქართველოში სეიფოლას ჩამოსვლის უმთავრეს მიზანს.

კერძოდ, პუბლიკაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სეიფოლა მის ისტორიულ სამშობლოში მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით კი არ იყო ჩამოსული, არამედ ფერეიდნელ ქართველთაგან იყო წარმოგზავნილი საქართველოს მთავრობის წინაშე მათი პრობლემების დასასმელად და მათ მოსაგვარებლად დახმარების სათხოვნელად. კერძოდ, მას უნდა „აღეძრა შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა ფერეიდნელ ქართველთათვის დაენიშნათ საქართველოს წარმომადგენელი, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს სპარსეთის მთავრობასთან.“

პუბლიკაციის ავტორი მკითხველს არა მარტო ზოგად ინფორმაციას აწვდიდა ჩვენი ფერეიდნელი მოძმეების პრობლემებზე, არამედ კონკრეტულადაც ასახელებდა ზოგიერთ მათგანს; მაგალითად, იმას, რომ ისინი დაბეჭდვით სთხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებას მათთვის მასწავლებლებისა და ექიმების გაგზავნას, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობდა ხელს მათსა და ჩვენ შორის არსებული სულიერი კავშირ-ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული ისიც, რომ საქართველოში ყოფნის ერთი წლის განმავლობაში სეიფოლა აქტიურად მუშაობდა საიმისოდ, ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ წილს მონყვეტილი ფერეიდნელი ქართველები, რომელთა „თოლი“ კვლავაც „სამშობლოსყე იჭყიტებოდა,“ როგორმე დაეკავშირებინა მათი წინაპრების ქვეყანასთან.

იმისათვის, რომ თავისი ამ მოწოდებისათვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა, პუბლიკაციის ბოლოს ავტორი იმ სიტყვებსაც იმონებდა, რითაც სეიფოლა საქართველოდან გამგზავრების წინ დამშვიდობებია ქართველ საზოგადოებას: „ჩონ ფერეიდნელი ქართველები ძალიან მოხარული შევიქენით, რომ სამშობლო გაგვიცოცხლადაო და იმედი არივო, რო ახლა იმათი გამარჯვებამ ჩონ დახმარება მოქცეს და ის ძაფი რო აქამდი არ განყვეტილა, აღარ განყდესო. ჩონ ძმებს ჩონსათა გული დაენების და რამენაირათ დაგვეხმარებინან, სასწავლებელს გაგვისნინან, რომ ჩონმა შვილებმა ქართული წერა-კითხვა ისწავლონ დაამას იქით გაიბმება ძმური კავშირი და ის თესლი, რომელიც ახლა ჩავარდა, უსათუოდ ნაყოფს გამოიღებსო.“

სეიფოლას მიერ ქართველი საზოგადოებისთვის გამომშვიდობების წინ ნათქვამი ამ სიტყვების დამონშების შემდეგ, პუბლიკაციის ავტორი მკითხველს იმასთან დაკავშირებითაც აწვდიდა ინფორმაციას, მთავრობა რის გაკეთებასაც გვემავდა ჩვენი ფერეიდნელი სტუმრის მიერ დასმულ საჭირობოროტო პრობლემათა მოსაგ-

ვარებლად. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა დასახმარებლად უკვე დაარსდა „ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება,“ რომელიც მთავრობასთან ერთად შეეცდებოდა „ყოველნაირად დახმარებოდა ჩვენგან მონყვეტილ ძმებს.“

პუბლიკაციის ავტორი მკითხველს იმასაც აუწყებდა, რომ „სახალხო განათლების კომისარიატის ერთ-ერთი განყოფილება უკვე იღებდა თხოვნებს სპარსეთში გასაგზავნ მასწავლებელთაგან.“ იქიდან გამომდინარე, რომ საამისო სურვილის მქონე პედაგოგთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, იგი იმედოვნებდა, რომ ეს საკითხი იანვარში უსათუოდ გადაწყდებოდა დადებითად.

საქართველოდან სეიფოლა იოსელიანის წასვლის შემდეგ გამოქვეყნებული წერილებიდან აქ უურნალ „საქართველოს განათლების მუშაკის“ 1926 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილი ის სტატიაც მინდა გავისხენო, რომლის მეშვეობითაც რედაქცია მკითხველებს კიდევ ერთხელ მოუთხრობდა ფერეიდანში სეიფოლას ქართული საქმიანობის ამბავს, განმარტავდა საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანს და ყოველივე ამის საფუძველზე, იმის მონოდებითაც გამოდიოდა, მეტი რეალური თანადგომა გამოგვეჩინა მისთვის, როგორც ფერეიდანში ქართული სკოლის გასასხენელად თავდადებით მებრძოლი მოღვაწისთვის.

კერძოდ, ხსენებული პუბლიკაციის მეშვეობით რედაქციამ ხაზგასმით შეახსენა თავის მკითხველებს, რომ საქართველოში სეიფოლას ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი ფერეიდანში ქართული სკოლის დასაარსებლად საფუძვლის მომზადება იყო. მისი ამ იდეის ხორცშესახსმელად კი საკმაოდ მყარი საფუძველი რომ არსებობდა, ამის დასტურად პუბლიკაციის ავტორი სეიფოლას ნაუბრიდან ამ ფრაგმენტსაც იმონებდა:

„როდესაც ჩონ გავიგეთ, რომ საქართველო თავისუფალი შაიქნა, ჩონ ძალიან გაგვიხარდა. ახლა კი ვიფიქრეთ, რო იქნება სამშობლოს თავისუფლებამ ჩონც გვიშველოს რამეო!.. ჩონ ამდენი ხნის განმავლობაჩი ვაივავლახით შევინახეთ ჩონი ენა. და თუ ჩვენმა ძმებმა ეხლა არ მოგვაქციეს ყურადღება და არ გამოგვიგზავნეს მასწავლებელი, რომ ჩვენ შვილებს ქართული შევასწავლოთ, მაშინ ჩონც ის ბედი გვეწვევა, რაც დანარჩენ ბევრ ქართულს სოფლებს მოუვიდათ, რომელთაც ენა დაკარგეს-ყე“ („საქართველოს განათლების მუშაკი,“ 1926, #11).

პუბლიკაციაში ისიც იყო აღნიშნული, რომ „საზოგადოების კომიტეტმა“ (ორგანიზაციის სახელწოდება უფრო მეტად დაკონკრეტული არ არის), „გადანყვიტა, ამ მოკლე დროში გამოსცეს წიგნი ფერეიდნელ ქართველების შესახებ. არჩეულია სარედაქციო კომისია,

რომელიც უკვე შეუდგა მასალების შეკრება-დამუშავებას და ორ-სამ თვეში წიგნი მზად იქნება.“

სამწუხაროდ, ფერეიდნელ ქართველთა პრობლემების გადასაწყვეტად საქართველოს ხელისუფლებას არათუ იმხანად არაფერი გაუკეთებია, არამედ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სამომავლოდაა მოსავარგებელი.

საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნებული სეიფოლა აქტიურად შეუდგა თავისი პატრიოტული გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ირანში სამუშაოდ წარგზავნილი ამბაკო ჭელიძე (1878–1940 წწ.), რომელსაც ხშირად ხვდებოდა ისპაჰანსა და თეირანში. 1927 წლის ზაფხულში კი ამბაკოსა და მისი მეუღლის მასპინძელიც იყო, როდესაც ისინი ფერეიდანში იმყოფებოდნენ იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრების გასამართად და მათი ყოფა-ცხოვრების უკეთ გასაცნობად.

ამბაკო ჭელიძემ თავის დიდმნიშვნელოვან წიგნში – „ფერეიდნელი ქართველები“ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა სარამ ჟურნალ „ცისკრის“ 1958 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მოგონებებში მეტად საინტერესო ცნობები მოგვანოდეს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ამბაკო ჭელიძე 1923-1929 წლებში სამუშაოდ იმყოფებოდა ირანში, სადაც მონაწილეობა მიიღო თეირანში საბჭოთა ბანკის დაარსებაში და იყო ამ ბანკის თანამშრომელი. ამბაკოსთან და მის მეუღლესთან სეიფოლას სიახლოვე არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იგი მათი გაცნობის პერიოდში ახლად დაბრუნებული იყო საქართველოდან

და ჭელიძეებთან ახლო მეგობრული ურთიერთობის დამყარება მეტ შესაძლებლობას აძლევდა თავისი ქართული გეგმების რეალურად განსახორციელებლად.

ამბაკოს ინფორმაციით, სეიფოლას მასზე პირველივე შეხვედრებიდანვე მოუხდენია განსაკუთრებული შთაბეჭდილება იმით, რომ ყოველი შეხვედრის დროს საუბარს უპირველეს ყოვლისა „საქართველოს ქებით იწყებდა და ამითვე ამთავრებდა. მოსწონდა განსაკუთრებით ტფილისი, კმაყოფილებით იგონებდა სხვადასხვა ქალაქებში გატარებულ დროს“ (ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ. 2011 წ. გვ. 23).

თავისი ქართული გეგმების განსახორციელებლად სეიფოლას არა მარტო დიდი საზოგადოებრივი ავტორიტეტი და არისტოკრატიული მდგომარეობა უქმნიდა მძლავრ საფუძველს, არამედ ის ახლო მეგობრული ურთიერთობაც, რითაც იგი ირანის სახელისუფლებო წრეების უმაღლეს პირებთანაც იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა საქართველოდან სეიფოლას დაბრუნების დროს (1923 წელს) ირანის პირველი ვეზირი, შემდგომში კი ამ ქვეყნის შაჰი რეზა ხანი, რომელსაც იგი ჩვენი ქვეყნიდან უკან დაბრუნებისთანავე შეხვედრია.

ამბაკო ჭელიძის ინფორმაციით, ამ შეხვედრის დროს სეიფოლამ რეზა ხანს თურმე ფერეიდნელი ქართველებისთვის იარაღის შეძენის ნებართვა სთხოვა მოძალადე ქურთებისა და ბახტიარებისაგან თავის დასაცავად, რაზეც „ზრდილობიანი უარი“ მიუღია – „მაგისთანა ხალხს თვით სახელმწიფო ალაგმავსო“, შემდეგ ღიმილით უკითხავს: „რაიმე ნობათი ხომ არ მოგიტანია საბჭოთა ქვეყნიდან?.. ახალი კომუნისტური აღათები ხომ არ ჩამოგიტანია გასაჯრცელებლადო?“

როგორც ითქვა, სეიფოლა იოსელიანი ფერეიდნელ



ფერეიდანი

ქართველთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა და უდიდესი ავტორიტეტით გარემოსილ პიროვნებას წარმოადგენდა. მისდამი ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო იმით იყო განპირობებული, რომ იგი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი – ხანი იყო, არამედ იმ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც, რასაც ის თავისი მშობლიური მხარის განსავითარებლად და მისი მოძმეების საჭირობოტო საკითხების მოსაგვარებლად ეწეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სეიფოლა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე და საქართველოს ისტორიის კარგად მცოდნე პიროვნება, ფერეიდნელ ქართველთა რელიგიური თანატიზმისა და კონსერვატული ყოფაცხოვრების განმაპირობებელ ბევრ წეს-ჩვეულებას არ იზიარებდა, იგი ხალხის აზრსა და ადათ-ტრადიციებს განსაკუთრებულ პატივს მანიც სცემდა და თავადაც ცხოვრობდა ამ ტრადიციების რეალური დაცვით. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ამბაკო ჭელიძე, რომელიც პირადადაც არაერთხელ გამხდარა ყოველივე ზემოთქმულის თვითმხილველი ირანში ყოფნის დროს: „ბევრი მოხუცებული ჩვენს მიტანილ საჭმელს ხელს არ ახლებდა. უკიდურეს შემთხვევაში კერძს გარედან მოუტანდით და, როდესაც დარწმუნდებოდა, რომ ის მუსულმანის მომზადებული იყო, მაშინ მიირთმევდა. ზოგი მათგანი ჩვენს გამზადილ ჩასაც არ სვამდა. მათი მიზეზი „არ მინდა“ იყო. მაგრამ ნამდვილად კი, როგორც მუსულმანი, ქრისტიანის „ნახელავს“ ერიდებოდა... თვით სეიფოლა იოსელიანი იმდენად კულტუროსანი იყო, რომ სასმელ-საჭმელს არ ერიდებოდა, მაგრამ მასაც ბევრჯელ მოუხდა სხვის შემხედვარეს საჭმლის დათმობა:

– ნავა სოფელში და ცუდ ხმებს გაავრცელებსო“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 35).

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდანში ხანები, როგორც სოციალურად მაღალარისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები, სხვებიც იყვნენ, სეიფოლა მათ შორის ყველაზე მეტად ავტორიტეტულ იმ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელსაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნიც კი გამორჩეულად აფასებდნენ.

ასეთ საყოველთაო პატივისცემას სეიფოლა იმით იმსახურებდა, რომ იგი თავისი მოძმეების სამსახურში აქტიურად მდგარი პიროვნება იყო, ბელადი და წინამძღოლი ფერეიდნელი ქართველებისა, მათი საჭირობოტო საკითხების მოსაგვარებლად აქტიურად მებრძოლი კაცი, ენერგიულად მზრუნველი ფერეიდანში ყოველივე პროგრესულის დამკვიდრებისა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზაზე სეიფოლას ბევრი წინააღმდეგობაცა და უსიამოვნებაც

არაერთგზის შეხვედრია, მას უკან მანიც არ დაუხევია და მისი უშუალო თაოსნობით ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია მშობლიური მხარის განსავითარებლად.

თანასოფლელთა ნდობასა და სიყვარულს სეიფოლა იმითაც იმსახურებდა, რომ იგი იქაური ადათ-ტრადიციების, მათ შორის მუსლიმური რელიგიური წეს-ჩვეულებების, დამცველიც იყო და მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრადიციათაგან ზოგიერთი რამ მას უკვე ყავლგასულად მიაჩნდა, მანიც აღასრულებდა მათ, რათა ამით იქაურებს არ გამოჭვნიოდა და ხალხში მის მიმართ არსებული ნდობა არ შერყეულიყო.

სეიფოლას ამგვარი ცხოვრებისეული წესის წარმოსაჩენად არაერთ კონკრეტულ ეპიზოდს გვთავაზობს ა. ჭელიძე მისი ცხოვრებიდან. მაგალითად, ირანში არსებული ტრადიციის შესაბამისად, იქაური ხანები, მათი დიდკაცობის ხაზგასასმელად, ქუჩაში თურმე ქუსლებჩაკვეცილი ჩუსტებით დადიოდნენ, რასაც სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ვერ გაბედავდა. „ამით ყველა გამვლელი შეიტყობდა, თუ რომელი იყო მათში დიდი ღირსების. ხანი მიდიოდა წინ თავანუელი და მძიმე ნაბიჯით.

ასეთივე ფასონით ჩამოდიოდა სეიფოლა იოსელიანი, რაც, ირანული ჩვეულებით, სრულებითაც არ ამცირებდა მას. პირიქით, მისი ღირსების დამატება იყო, შეფარდებული ადგილობრივ ადათთან. ასე გამოწყობილი ხანი თვით შაჰის კარებსაც თამამად მიადგებოდა“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 36).

თავისი სოციალური უპირატესობისთვის ამგვარი ხაზგასმის მიუხედავად, სეიფოლა პირველ ყოვლისა მანიც დემოკრატიული თვისებებით გამორჩეულ პიროვნებას წარმოადგენდა და სხვა დიდგვაროვნებისგან განსხვავებით, გლეხებთან ახლო პიროვნული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. სეიფოლას შესახებ საუბრის დროს ამ გარემოებას ა. ჭელიძეც არაერთხელ უსვამს ხაზს.

თავისი დიდი ავტორიტეტის გამო, სეიფოლას მისი წოდების წარმომადგენელთა შორის არაერთი მოშურნეცა და მოწინააღმდეგეც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ასევე მარტყოფში მცხოვრები მეორე ხანი მატყული ონიკაშვილი, რომელსაც სეიფოლასთან „დიდი მტრობა“ ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდანის სხვა ქართველ ხანებთან შედარებით, სეიფოლას ეს წოდება მხოლოდ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჰქონდა მიღებული, ქართული სოფლების მკვიდრთა უმეტესობას პირველ ყოვლისა მანიც ის ჰყავდა მიჩნეული თავის წინამძღოლად. ამ მოვლენით უკმაყოფილო და გაღიზიანებული იქაური ძველი ხანები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ,

„თავისი ყოჩაღობით ამგვარად ამბულგებული სეიფოლას ავტორიტეტი როგორმე რომ დაემცროთ და იგი გზიდან რომ ჩამოეცილებინათ.“

სეიფოლას დიდი პიროვნული ავტორიტეტის განმპირობებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ის ბრძოლაც იქცა, რომელსაც იგი თავისივე შედგენილი შეიარაღებული რაზმის მეშვეობით აწარმოებდა ფერეიდანის ქართული სოფლების მუდმივად ამკლებ-ამნიოკებელ ყაჩაღთა წინააღმდეგ. აი, რა ინფორმაციას გვანვდის ამასთან დაკავშირებით ა. ჭელიძე: კარგად შეიარაღებული თავისი რაზმით სეიფოლა მუდმივად „ივრებიდა თავდამსხმელ ქურთებსა და ბახტიარებს და, ამავე დროს, თვითონაც ესხმოდა თავზე. ორივე შემთხვევაში ხშირად იმარჯვებდა და ამის შემდეგ ფულსაც ახდევინებდა. აღებული ფულებიდან ნაწილი მთავრობისათვის უნდა გაეცა. ეს შეშურდათ სხვა ხანებს, რომელთაც აღარ შესწევდათ უნარი, შეიარაღებულ მეომრებს წინ გაძლოლოდნენ“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 118).

როგორც ითქვა, სეიფოლა ირანის მაშინდელი ხელისუფლებისგანაც საკმაოდ დაფასებული პიროვნება ყოფილა. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას ის ბრძანებაც ადასტურებს, რის საფუძველზეც იგი 1929 წელს ოფიციალურად დაუნიშნავთ ზემო მარტყოფის გუბერნატორად (მამასახლისად). კერძოდ, ფერეიდანის მთავრობის წარმომადგენლის მიერ გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნულ თანამდებობაზე სეიფოლას დანიშვნა ამგვარი სახით იყო დაფიქსირებული: „ვაუწყებთ ახორე ოლიას მთელს მოსახლეობასა და მიწათმფლობელებს (მემამულეებს):

რადგან მოსახლეობის მეურვეობისა და ზედამხედველობისთვის ღირსეული პირია საჭირო, სულთანის ნდობით აღჭურვილი პირი, ბატონი სეიფოლა-ხან ოსელიანი თავისი დამსახურებისა და უნარის გამო ამ დროიდან ინიშნება ამ მხარის მეთაურად. მოსახლეობამ უნდა სცნოს მისი ხელმძღვანელობა და დაემორჩილოს მას. თავის მხრივ, მანაც უნდა იზრუნოს მოსახლეობის კომფორტსა და კეთილდღეობაზე, იმოქმედოს მისი მოვალეობის ფარგლებში და გვაუწყოს ადგილობრივ მცხოვრებთა საჭირბოროტო საკითხები.“

აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში სეიფოლას ბევრი რამ გაუკეთებია ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო პირობების გასაუმჯობესებლად. როგორც უკვე ითქვა, ამ მიზნით მას აქტიურად გამოუყენებია ის ახლო მეგობრული ურთიერთობა, რითაც იგი ირანის იმუამინდელ შაჰთან – რეზა ფეჰლევთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, სწორედ მისი აქტიური ძალისხმევის შედეგად დაინიშნა

მის მშობლიურ სოფელში ექიმი და ადგილობრივ მოსახლეობას მიეცა პირადობის მოწმობა. ქვეყნის წინაშე განეული დამსახურების გამო რეზა ფეჰლევს მისთვის ფულადი ჯილდოც გადაუცა, მაგრამ სეიფოლას საჩუქარზე უარი უთქვამს და მის სანაცვლოდ შაჰისთვის მარტყოფში სკოლის გახსნა უთხოვია. შაჰს სეიფოლას თხოვნა შეუსრულებია და 1928 წელს მარტყოფში მართლაც გახსნილა ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც საგანმანათლებლო საქმიანობის წარსამართად მასწავლებელი სპეციალურად ყოფილა მოწვეული ისპაჰანიდან.

თანასოფლელების მიმართ სეიფოლას მიერ გამოვლენილი განსაკუთრებული მზრუნველობის დასტურად ქალბატონი ჰელენ ოსელიანი მისი დიდი ბაბუს ბიოგრაფიიდან ერთ ასეთ ინფორმაციასაც გვანვდის:

სოფელში გადასახადების ასაკრებად მოსული ჯგუფის წევრები სეიფოლასთან მისულან და იქაური მოსახლეობისთვის დაკისრებული გადასახადის სასწრაფოდ აკრება მოუთხოვიათ. მათი კატეგორიული მოთხოვნის პასუხად, სეიფოლას უთქვამს, რომ ამას ვერ გააკეთებდა, რადგანაც მის სოფელში იმ წელს იმდენად ცოტა მოსავალი მოუწევიათ, რომ იგი თავად მოსახლეობასაც არ ეყოფოდა თავის გასატანად. გადამხდელებს სეიფოლას ეს ნათქვამი არ დაუჯერებიათ და უთქვამთ, ჩვენ სოფელში რომ შემოვედით, ერთი კაცი ვნახეთ, რომელმაც გვითხრა, რომ წელს ძალიან უხვი მოსავალი მოვიდაო. სეიფოლას იმ კაცის ნათქვამი უარუყვია და გადასახადის ამკრებლებისთვის უთხოვია, მასთან ერთად წასულიყვნენ სოფელში და ის კაცი ეჩვენებინათ, ვინც მათ ეს ინფორმაცია მიანოდათ.

იმ კაცთან მისვლამდე სეიფოლას მასთან, გადამხდელთაგან უჩუმრად, თავისი მოსამსახურე გაუგზავნია და შეუთვლია: – ჩვენ შენთან რომ მოვალთ, თავი ისე მოგვაჩვენე, ვითომ გიჟი და თვალთმაქცი ხარო.

სოფლის მოედანზე მისულ სეიფოლა ხანთან და გადასახადის ამკრებებთან შეხვედრის დროს ის კაცი მართლაც ისე იქცეოდა, თითქოს ნამდვილად არასრულფასოვანი და გიჟი ადამიანი იყო. ამ ამბით გახარებული სეიფოლა თურმე გადამხდელებს მიუბრუნდა და უთხრა:

– ნუთუ ამ გიჟი კაცის სიტყვები დაიჯერეთ და მის ნათქვამზე გინდათ დაგვაკისროთ ამხელა გადასახადი? გადასახადის ამკრებთ სეიფოლას ნათქვამი დაუჯერებიათ, გადასახადის აკრებისგან თავი შეუკავებიათ და ხელცარიელნი გაბრუნებულან უკან.

მიუხედავად იმისა, რომ დამონწმეული ეპიზოდი შესაძლებელია, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, ერთი რამ აშკარად ცხადია – აშკარად

რომანტიზებული ამ ეპიზოდით მისმა შემთხვევლმა მიზანმიმართულად ცადა, კიდევ ერთხელ წარმოეჩინა აქტიურად მზრუნველი ის დამოკიდებულება, რასაც სეიფოლა იოსელიანი იჩენდა თავისი მმართველობის პერიოდში თანასოფლელების მიმართ.

სხვა ფერეიდნელი ხანებისაგან სეიფოლა იმითაც გამოირჩეოდა, რომ იგი ერთადერთი ქართველი იყო, ვინც ქართული წერა-კითხვა იცოდა. და ეს მაშინ, როცა ხანების უმეტესობა არათუ ქართული, არამედ სპარსული წერა-კითხვის უცოდინარი იყო და სპარსულ ენაზე საუბარიც კი უჭირდა. ა. ჭელიძის ინფორმაციით, „არც ერთმა ხანმა, სეიფოლას გარდა, ქართული წერა-კითხვა არ იცის. მათ ირანულის ცოდნაც ძალიან მცირე აქვთ. ზოგმა ირანული სრულებით არ იცის. ისინი არც ეტანებიან სწავლას. არც ერთს თავისი შვილი ჯერ სოფლის გარეთ სასწავლებლად არ გაუგზავნია. თუ რამეს ასწავლიან, ისევ შინაურული წესით. ერთმა ხანმა გაკვირვებით წამოიძახა:

– სკოლაში რა უნდა ისწავლონ ჩვენმა შვილებმაო“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ.120).

განათლების სწორედ ამ მაღალი დონის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სეიფოლა თავისი ცხოვრების წესითაც იყო თანასოფლელებისაგან მეტ-ნაკლებად გამორჩეული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ცხოვრებისეულმა რეალობამ და ისტორიული სამშობლოსაგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრულმა მოწყვეტამ, განსაკუთრებით კი რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა, ფერეიდნელ ქართველთა მსგავსად, სეიფოლას ყოფაზეც მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა, მის ოჯახში სტუმრობის დროს ამბაკო ჭელიძე სპარსული ყოფისათვის მიუღებელი ზოგიერთი წეს-ჩვეულების პირადად თვითმხილველიც გახდა.

მაგალითად: „არც ერთ ოჯახში, გარდა სეიფოლა იოსელიანისა, არ იყო სკამი. თვით სეიფოლას ოჯახშიც არავინ ჯდებოდა სკამზე. მათაც კი სკამი იშვიათი სტუმრისთვის ჰქონდათ შენახული“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 74).

როგორც ითქვა, ყოველივე ზემოთქმულის გამო, სეიფოლა არაერთხელ ქვეულა პიროვნული დევნის ობიექტად და სრულიად უსაფუძვლო ცილისწამების მსხვერპლად. ასე მოხდა ფერეიდანში, სეიფოლა იოსელიანის ოჯახში, ამბაკო ჭელიძის სტუმრობის დროსაც. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით თავად ამბაკო ჭელიძე: სეიფოლას ოჯახში მისულ ამბაკოსა და მის მეუღლეს თურმე სეიფოლა ძალიან მოწყენილი დახვდა და სტუმრებს არც კი ეკარებოდა. „მხოლოდ მისი დედა და ოჯახობა იჯდნენ

ჩვენთან... ვახშამი ცალკე ოთახში გაგვინყო. თითქმის შუა ჭამამდე არ მოგვეკარებია. შემდეგ მოვიდა. კარები და ფანჯრები დარაბებით დაახურვინა, რომ გარეშე თავალს არ დაევენახეთ. დაჯდა, მაგრამ ერთი ლუკმაც არ ჩაიღო პირში... ამბაკო იყო, რაღაც აწუხებდა“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 58).

როგორც ამბაკომ და მისმა მეუღლემ მეორე დღეს, სეიფოლას ოჯახში „მთავრობის კაცების“ მოსვლის შემდეგ, გაარკვიეს, მასპინძლის ამგვარი მოქმედება მათი სტუმრობით ყოფილა განპირობებული, რის გამოც „ზოგიერთი პროვოკატორი“ სეიფოლას ოჯახს ფერეიდანიდან გასახლებით ემუქრებოდა. კერძოდ, „გამოირკვა, რომ ჩემი აქ მოსვლის მიზანს ვილაც კაცებმა თავისებური სარჩული გამოაკერეს, სახე დაუმახინჯეს და ხალხს მოაჩვენეს – ვითომც მე მივდივარ ფერეიდანში, რომ ქართველები „გავასომხო“, ე. ი. გავაქრისტიანო, გავსხნა რუსული სკოლა და ყველა გადავასახლო საქართველოში“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 60).

სეიფოლას წინააღმდეგ მებრძოლ პროვოკატორთა მიერ მთავრობისთვის მიწოდებული ამ ბრალდების გამოსაკვლევად მის ოჯახში მეორე დღეს ფერეიდანში ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად წარგზავნილ ჯარისკაცთა ასეული მისულა. სამდღიანი კვლევა-ძიების შემდეგ ასეულის მეთაური არა მარტო სეიფოლას უდანაშაულობასა და მისი სტუმრის მიმართ გავრცელებული ხმების უსაფუძვლობაში დარწმუნებულა, არამედ იქაურთა უმძიმეს სოციალურ მდგომარეობასაც და საგანმანათლებლო დონის უკიდურეს ჩამორჩენილობასაც გაცნობია და სეიფოლასთვის საყვედურით უთქვამს: „რა არის, რატომ ერთი სკოლა არ გაქვთ? ხანი ხარ, სოფლის მეთაურად თავი მოგაქვსო.“

მიუხედავად იმისა, რომ სეიფოლა ჯარის უფროსის მიერ ნათქვამ ამ საყვედურს არ იმსახურებდა და ფერეიდანში სკოლის გასახსნელად აქტიური ბრძოლა მას მანამდეც დიდი ხნით ადრე ჰქონდა დაწყებული, მისმა ამ სიტყვებმა მას მაინც მისცა ახალი, დამატებითი იმპულსი. ამ საქმეში მას ამბაკო ჭელიძეც აქტიურად დაუდგა გვერდით და სოფელ ზემო მარტყოფში სკოლის გასახსნელი ნებართვის მოსაპოვებლად ორივე მათგანმა გაერთიანებული ძალით განაგრძო ბრძოლა.

მათი ეს მცდელობა მართლაც დასრულდა სასურველი შედეგით და ისპაჰანის ოლქის განათლების უფროსმა 1928 წელს ოფიციალურად გასცა ნებართვა სოფელ ზემო მარტყოფში სკოლის გასახსნელად იმ პირობით, თუ სკოლისთვის საჭირი ბინასა და აუცილებელ მოწყობილობებს სეიფოლა იშოვიდა. მთავრობა კი მხოლოდ მასწავლებელს გადაუხდოდა ხელფასს.

ზოგიერთი ავტორის ხაზგასმით, სეიფოლას აქტიური ძალისხმევით ფერეიდანში დაარსებული ეს სკოლა ქართული იყო, რაც, სამწუხაროდ, სინამდვილეს არ შეესაბამება და იგი სპარსეთში იმხანად არსებულ დაწყებით სკოლათა მსგავს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა იმ განსხვავებით, რომ იქ ქართული ენის სწავლებაც იყო შესაძლებელი. თუმცა ამ საგანში მასწავლებლის მოუძიებლობის გამო, სეიფოლამ თავისი მიზნის რეალობად ქცევა ვერ შეძლო.

სამწუხაროდ, ფერეიდანში სკოლის დაარსების იდეას იქაურთა შორის მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავდნენ. როგორც ითქვა, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, სეიფოლას 1928 წლისათვის ზემო მარტყოფში მანაც გაუხსნია სკოლა, რომელიც სწავლებისათვის საჭირო ყველა პირობით ყოფილა უზრუნველყოფილი.

ამ საქმის წარმატებით მოსაგვარებლად სეიფოლა აქტიურად იყენებდა თავის ავტორიტეტს და ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნებით აქტიურად ცდილობდა მისი ინიციატივით დაარსებული სკოლა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაც ყოფილიყო უზრუნველყოფილი და მასწავლებლებითაც. ამ მიმართულებით განწეული მისი საქმიანობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას მის საოჯახო არქივში დაცული წერილობითი დოკუმენტებიც ადასტურებს.

მაგალითად, 1928 წელს ხელისუფლებისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილობით მიმართვაში იგი დაბეჭდვით მოითხოვდა, ახლად დაარსებული მისი სკოლისთვის სასწრაფოდ გადაეცათ აუცილებლად საჭირო შემდეგი ნივთები: 20 დიდი მერხი და მაგიდა, 3 პატარა მერხი, 6 სკამი, მასწავლებლის 3 მაგიდა, კაბინეტის 1 მაგიდა, 3 დაფა, 1 საქალაღდე, 2-2 სამელნე, კალამი და სახაზავი, 8 ცალი რვეული, თითო-თითო ცალი ზარი და დროშა და 4 სალოცავი ხალიჩა.

სეიფოლა ასე აქტიურად არა მარტო სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის საჭირო მატერიალური ბაზის მოწესრიგებას ცდილობდა, არამედ მან სკოლაში ექიმის პერიოდულად მინვევის საქმეც მოაგვარა. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ირანში სამედიცინო პერსონალის დიდი ნაკლებობის გამო ამის გაკეთება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა, სეიფოლამ მანაც შეძლო ამ პრობლემის სასურველ დონეზე გადაწყვეტა. კერძოდ, ირანის ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარის – დადგარის ხელმოწერით 1928 წელს გამოცემულ #7967 ბრძანებაში აღნიშნული იყო:

„ისპაჰანის ფერეიდანის მოსახლეობას. წერილი ოთხკულისიანი სკოლის თაობაზე და ერთი ექიმის გაგზავნაზე.

ფინანსურ პრობლემათა გამო, ექიმები იძულებული არიან, თავიანთი საქმიანობა მოძრაობითა და გადაადგილებით შეასრულონ. ფერეიდანის ადგილია, რომელსაც ასეთი სახის ექიმი უნდა მოემსახუროს. ჯანდაცვის განყოფილებას შევასენებთ, რომ უზრუნველყოფს ფერეიდანელთა მოთხოვნილება და შედეგები აუცილებლად მოგვახსენოს.“

მიუხედავად იმისა, რომ ზემო მარტყოფში სკოლის დაარსების უშუალო ინიციატორიცა და ამ საქმის განმახორციელებელიც სეიფოლა იყო, ამ სკოლის დირექტორის მოვალეობას სხვა პიროვნება ასრულებდა, სეიფოლა კი მის მუშაობას გარედან უწევდა ზედამხედველობას. ხსენებული სკოლის საქმიანობაში მისი ამ ფორმით ჩართვა ხელისუფლების ნება-სურვილითაც რომ ხდებოდა, ამას მისი საოჯახო არქივიდან მოტანილი ეს დოკუმენტიც ადასტურებს:

„ბატონ სეიფოლა-ხან იოსელიანს. რადგან პირველი და მეორე კლასების წლიური გამოცდები იწყება, გთხოვთ გამოცდების ჩატარების პროცესს დაეწროთ.

სახელმწიფო სკოლის დირექტორი ფარანდი.“

სხვათა განათლებაზე ესოდენ აქტიურად მზრუნველი სეიფოლა, ბუნებრივია, თავის შვილებსაც მისცემდა შესაფერის განათლებას. როგორც მის საოჯახო არქივში დაცული მასალებით ვიგებთ, მის შვილებს პირველდაწყებითი განათლება მის მიერვე დაარსებულ სკოლაში მიუღიათ. ისინი, განსაკუთრებით კი ფათულა-ხანი, რომელიც შემდგომში აქტიურად აგრძელებდა მამის მიერ საფუძვლად ჩაყრილ საგანმანათლებლო და ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეებს, სკოლაში სწავლის პერიოდში ამპარად გამოიჩინოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სეიფოლას იმის უფლებაც მიუღია, თავისი აქტიური ძალისხმევით დაარსებულ სკოლაში ქართული ენის სწავლებაც რომ ყოფილიყო შემოღებული, მაგრამ ქართული ენის მასწავლებელი ვერსად მოუნახავს, რის გამოც ეს დიდმნიშვნელოვანი განზრახვა ვერ განუხორციელებია. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ამბაკო ჭელიძე: სპარსეთის იმპერატორის „მთავრობა ქართულად სწავლების წინააღმდეგი არ იყო, ისევე, როგორც არ ეწინააღმდეგება სომხებს, ებრაელებს და ქურთებს. მაგრამ ფერეიდანელ ქართველებში არავინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომ მასწავლებლობა შეძლოს, ხოლო იმ ქართველებიდან, რომლებიც აქედან არიან გასული და უსაქმოდ დაეხეტებიან თეჰრანის ქუჩებზე, არავინ ისურვა ფერეიდანში მასწავლებლად წასვლა“ (ა. ჭელიძე, მითითებული წიგნი, გვ. 136).

სამწუხაროდ, მუსლიმი სასულიერო პირებისა და

ფერეიდანში სასწავლო დაწესებულების გახსნის მოწინააღმდეგე სხვა პირებისაგან გამუდმებული დევნა-შევიწროების გამო სეიფოლა იძულებული გამხდარა სკოლისთვის რამდენჯერმე შეეცვალა ადგილმდებარეობა. მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვანვდის ამასთან დაკავშირებით ქალბატონი ჰელენ იოსელიანი სეიფოლას საოჯახო არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით: „სასწავლებელი, რომელიც სეიფოლა-ხანმა ხაყანის სახელწოდებით დააარსა, ხალხის მხრიდან თავდაპირველად წინააღმდეგობას წააწყდა. როცა სასწავლებლის ზარის ხმა გაისმა, თქვეს, სეიფოლა-ხანს ქრისტიანებისკენ ჩვენი მობრუნება სურსო. სასწავლებელიც ამ მიზეზით გადატანილ იქნა ფერეიდნის ერთ-ერთ სოფელში – ახლანდელ დარანში. ორი წლის მერე კი სკოლა, სეფეჰრის სახელწოდებით, ახორეში, ახლანდელ ფერეიდუნმაჰრში, გადაიტანეს და მან ამჯერად იქ განაგრძო მუშაობა. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ბატონი არიანი, რომელიც ისპაჰანიდან იქნა გამოგზავნილი. სამი-ოთხი წლის მერე კი სკოლის მასწავლებლები იყვნენ ბატონები: მაჰბუბი და ჰოსეინ ბარუმანდი. მოსწავლეები იყვნენ: მოჰამად ნეჟე ხუ, მალეჟე მოჰამად რაჰიმი, ჰასან შა სიაჰი და მოჰამად ჯადიდი.“

ხანდაზმულ ფერეიდნელთა მოგონებით, ხსენებული სკოლის გახსნა სეიფოლას თავდაპირველად სოფლის წყაროსთან უცდია და ქართული ანბანის შესწავლის მსურველი ბავშვებისთვის ღია ცის ქვეშ დაუწყია ქართული ანბანის სწავლება. ამის გამო განსაკუთრებული აღშფოთება გამოუხატავთ სოფლის მოლეებს. „სკოლის ზარის ხმამ მათ თურმე ეკლესია მოაგონათ და სეიფოლას ისლამისაგან განდგომა დასწამეს“ (გ. ჭიპაშვილი, ირანის ქართული მოსახლეობა, თბ. 1990 წ. გვ. 24).

სეიფოლა იოსელიანის მიერ ფერეიდანში სკოლის გახსნის თაობაზე მეტ-ნაკლებად მსგავს ინფორმაციას გვანვდის ირანელ ქართველთა შესახებ ირანში, სპარსულ ენაზე, გამოცემული წიგნის ავტორი, ფერეიდნელი ქართველი მალეჟე მოჰამად რაჰიმიც. კერძოდ, აი, რას წერს იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „სეიფოლა-ხანი ინტელიგენტი და კეთილშობილი ადამიანი იყო. მისი დიდი დამსახურებათაგანი იყო ფერეიდუნმაჰრში ხაყანის სახელობის დაწყებითი სასწავლებლის დაარსება. სასწავლებლის ხელმძღვანელი, უფროსობასთან შეთანხმებით, ზარის რეკვით იწყებდა და ამთავრებდა გაკვეთილს, რამაც საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ მოლეებმა დახურეს თავიანთი სასწავლებლები და დაუპირისპირდნენ მას. ზარის ხმას ისინი ქრისტიანობისკენ დაბრუნებად იაზრებდნენ. ამ მიზეზით სასწავლებელიც დაიხურა.“

არქივში მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით, აღნიშნულ ზართან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას გვანვდის ა. სონლულაშვილი. აღნიშნული მასალის მიხედვით, 1923 წელს საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნებულ სეიფოლას სასწავლო წიგნებთან და ნივთებთან ერთად სკოლის შენობის გასათბობად რკინის ლუმელიც წაუღია. „ირანელები და ისლამური ფანატიზმით შეპყრობილი ქართველი გლეხობა, რომელიც წამოეგო სასულიერო წოდების პროვოკაციას, ბრალს სდებდნენ იოსელიანს ქრისტიანობის შემოტანის სურვილში. ამ ბრალდების გასამაგრებლად გლეხობა ამტკიცებდა, რომ იოსელიანის მიერ მოტანილი ლუმელი სინამდვილეში იყო ეკლესიის ზარი. იოსელიანის წინააღმდეგ იწერება დასმენები, მიმდინარეობს დაკითხვა... ენერგიული სეიფოლა ხანი წინააღმდეგობის მიუხედავად, აგრძელებდა საქმეს. მისი სკოლა მცირე დროით ფუნქციონირებდა და მოასწრო ქართულად ესწავლებინა 15-20 აღსაზრდელისათვის. ასევე ქართული წერა-კითხვა ასწავლა სოფელ ბოინის 4-5 ქართველს. აქვე მიიღო ცოდნა სეიფოლას ვაჟმა ფათულა ხანმა.“

სკოლის შესამოწმებლად თეირანიდან მოსულმა სპეციალურმა კომისიამ დაადანაშაულა იოსელიანი პრობოლშევიკურ მოღვაწეობაში. სკოლა დახურეს“ (ა. სონლულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 182).

მიუხედავად ზოგიერთი იმ უზუსტობისა, რასაც დამოწმებული საარქივო დოკუმენტის უცნობი ავტორი (იგი საქართველოში მცხოვრები ქართველი უნდა იყოს) სეიფოლას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საუბრის დროს უშვებს, მისი მეშვეობით კიდევ ერთხელ წარმოჩინდება სეიფოლას აქტიური პრაქტიკული როლი ფერეიდანში სკოლის დაარსებისა და ფუნქციონირების საქმეში.

სამწუხაროდ, სკოლის მოწინააღმდეგეთა გამძაფრებული ბრძოლა სეიფოლას მიერ დაარსებული სასწავლო დაწესებულების გასაუქმებლად, საბოლოოდ, იმით დამთავრდა, რომ თეირანიდან მის შესამოწმებლად მოსულმა სპეციალურმა კომისიამ იგი დახურა, ს. იოსელიანი კი პრობოლშევიკურ მოღვაწეობაში დაადანაშაულა (ა. სონლულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 183).

მიუხედავად ამისა, სეიფოლას უკან მაინც არ დაუხევია და ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას თავისი პატრიოტული იდეის კვლავაც ხორცმესასხმელად, მაგრამ, გარდაცვალების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა უკვე აღარ დასცალდა.

#

ირანის ისტორია და კულტურა ირანი ჰულაგუიანთა პერიოდში

XIII საუკუნის დასაწყისში ცენტრალური აზიიდან გამოსულმა მომთაბარე ტომებმა დაიპყრეს იმდროინდელი კულტურული სამყაროს დიდი ნაწილი და თავიანთი ბატონობა გაავრცელეს წყნარი ოკეანიდან შავ და ხმელთაშუა ზღვებამდე. ეს მომთაბარე ტომები ცნობილი არიან მონღოლების, ანუ თათრების სახელით. მონღოლთა დაპყრობებს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მათ დაიპყრეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, შუა აზია, ირანი, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. გაანადგურეს ხორეზმის სახელმწიფო შუა აზიაში, ბაღდადის სახალიფო ერაყში და რუმის სასულთნო მცირე აზიაში.

XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლებს შორის შინაური ბრძოლა თემუჩინის მეთაურობით გაფეოდალებული მომთაბარეული დაჯგუფების გამარჯვებით დასრულდა, რომელიც 1204 წელს მთელ მონღოლეთის დიდი ხანი გახდა და მიიღო ჩინგიზ ყაენის საპატიო ტიტული. ასე ჩამოყალიბდა მონღოლთა სახელმწიფო.

1209 წელს ჩინგიზის ჯარი გაემართა ხორეზმში მუჰამედის წინააღმდეგ და 1210 წლის თებერვალში აიღეს ბუხარა, მალევე სამარყანდიც, რომელსაც ხორაზმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მონღოლებმა ხორეზმში მუჰამედის ჯარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ამის შემდეგ მუჰამედი და მისი უფროსი ვაჟი ჯალალ ად-დინი ირანში გაიქცნენ. მათ მონღოლთა რაზმები დაედევნენ, რომლებმაც დაარბიეს ჩრდილოეთ ირანი და გაძარცვეს იგი. ეს იყო მონღოლთა პირველი გამოჩენა ირანში. ამის შემდეგ მონღოლები სამხრეთ კავკასიაში შეიჭრნენ და დაარბიეს შირვანი და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი. დარუბანდით გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, შევიდნენ სამხრეთ რუსეთის ველებში და 1223 წელს მდინარე კალკაზე გაანადგურეს რუსთა რაზმები. უკან დაბრუნებულ მონღოლებს ყაზვინში, ჰამადანში და სხვა ქალაქებში ხალხმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია.



მაია კაჰანაძე

ჩინგიზ ყაენის უმცროსი ვაჟი, თულუ, ხორასანში გაგზავნეს. მან დაიკავა მერვი, პირწმინდად დაანგრია ნიშაბური, რომელიც გადახნეს და მის ტერიტორიაზე ხორბალი დათესეს. აიღეს და დაარბიეს თუსი და ჰერათი. მოსახლეობა მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. სადაც კი მონღოლები გამოჩნდნენ, აყვავებული სოფლები და ქალაქები დაანგრიეს, უამრავი ადამიანი გაჟლიტეს ან ტყვედ წაიყვანეს.

ირანელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მონღოლებს. მათ იმ პერიოდში არ ჰყავდათ საერთო ხელმძღვანელი. ირანელთა გაერთიანება და მონღოლთა წინააღმდეგ მათი ხელმძღვანელობა სცადა უკანასკნელმა ხორეზმში ჯალალ ად-დინმა (1220-1231 წწ.). მან ფერვანის ველზე (ქაბულის ახლოს) დაამარცხა მონღოლები. ეს იყო მონღოლთა პირველი მარცხი შუა აზიასა და ირანში მათი იქ შემოჭრიდან. ამ გამარჯვებიდან მალევე, ჰერათი, მერვი და სხვა ქალაქები აჯანყდნენ და განწყვიტეს მონღოლთა გარნიზონები. ფერვანის

მარცხიდან მალე, მონღოლთა ჯარმა ჩინგიზ ყაენის მეთაურობით (1221 წელს) მდინარე ინდის ნაპირზე დაამარცხა ჯალალ ად-დინი, რომელმაც ძლიერ დააღწია თავი ტყვეობას.

ამ ამბიდან მალევე, მონღოლებმა შუა აზიის და ხორასნის დაპყრობა დაამთავრეს. უკვე აღარ არსებობდა ხორეზმის იმპერია. ჩინგიზ ყაენი სამარყანდში დაბრუნდა თავისი მთავარი სამხედრო ძალით. მონღოლთა პატარა-პატარა რაზმები დარჩნენ აღმოსავლეთ ირანის დაპყრობილ ოლქებში, რომლებმაც აყვავებული ოაზისები საძოვრებად აქციეს.

ჩინგიზ ყაენის უკან გაბრუნების შემდეგ გაქცეული ჯალალ ად-დინი, რომელმაც თავი ინდოეთს შეაფარა, ირანში დაბრუნდა. მისი ძალაუფლება ცნეს ფარსში, ქირმანში და სპარსეთის ერაყში. ნაცვლად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიის ქვეყნებთან კავშირი შეეკრა მონღოლთა წინააღმდეგ, ის თვითონ გამოვიდა დამპყრობლის როლში და 1225-1231 წლებში მან დაიპყრო აზერბაიჯანი, აილო ხლათი. 1226 წლის 9 მარტს მან აილო თბილისი. 1228 წელს ჯალალ ად-დინმა ისპაჰანთან დაამარცხა მონღოლები, მაგრამ 1229 წელს ირანში შესულ მონღოლებთან ის დამარცხდა, 1231 წელს გარდაიცვალა კიდევ. ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ კვლავ გაგრძელდა მონღოლთა დაპყრობები. რეგეტთად და აღმოსავლეთ ევროპეებისაკენ ვეროპეებისაკენ

მონღოლთა იმპერიაში მყოფი ხალხები პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, ამ იმპერიაში, როგორც მილიანმა პოლიტიკურმა ერთეულმა, დიდხანს ვერ გაძლო. XIII საუკუნის 50-იან წლებში ის რამდენიმე სახელმწიფოდ (ულუსად) დაიყო, რომელთა სათავეში იდგნენ ჩინგიზ ყაენის შთამომავლები. ეს სახელმწიფოები იყო: ოქროს ურდო, ჩალათას სახელმწიფო და ჰულაგუიანთა სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა ირანში ჰულაგუ ხანის მიერ. ასევე იუნის იმპერია.

ირანში ჰულაგუიანთა სახელმწიფოს შექმნამდე მონღოლ დამპყრობთა ხელში იყო ხორასანი, სისტანი, მაზანდარანი, აზერბაიჯანი და სპარსეთის ერაყი. რაც შეეხება ირანის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, აქ იყო მონღოლებთან დამოკიდებულების მხრივ განსხვავებული რამდენიმე სამფლობელო: ქერმანს ფლობდა ყარა-კიდაების დინასტია, რომლებმაც მონღოლი ყაენისაგან მიიღეს მისი ფლობის და «ყუთლუღ-ხანის» ტიტული. ფარსი იყო სალგურიდების

დინასტიის მფლობელობაში. სამხრეთ-აღმოსავლეთს, ანუ დიდ ლურს. ხაზარასპიდების ათაბაგთა დინასტია, ხოლო ჩრდილო-დადავლეთს, ანუ მცირე ლურს, ათაბაგების დამოუკიდებელი დინასტია მართავდა. მონღოლთა შემოსევები არ განუცდია ისმაილიტების სახელმწიფოს (1090-1256 წწ.) და ბაღდადის სახალიფოს.

1251 წელს დიდმა ყაენმა მუნკემ თავისი ძმების - ჩინეთში ყუბილაის, ხოლო ირანში ჰულაგუს მეთაურობით ორი დიდი ლაშქარი გაგზავნა. ჰულაგუს უნდა მოესპო ისმაილიტთა სახელმწიფოს ძლიერება და დაემორჩილებინა ბაღდადის ხალიფა.

1256 წელს ჰულაგუს ჯარმა ალყა შემოარტყა ისმაილიტთა მთელ რიგ ციხე-სიმაგრეებს. ამ დროს ისმაილიტთა მმართველ ზედაფენებში შინაური ბრძოლები მიმდინარეობდა, რამაც ძალთა თანათარღობა მონღოლთა სასარგებლოდ შეცვალა. მონღოლთა დაუძინებელი მტერი „მთის მოხუცი“ შეთქმულების შედეგად მოკლეს, რომელსაც მისი შვილი მეთაურობდა. ამ პრომონღოლურ დაჯგუფებაში იყო ასევე ცნობილი ასტრონომი ნასერ ად-დინ ტუსი. აქ დაწერილებით ამ ამბებს აღარ განვიხილავ. აღვნიშნავ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ იმავე 1256 წლის ბოლოს ჰულაგუს ჯარმა აილო და დაანგრია ისმაილიტთა აუღებელი ციხე-სიმაგრე ალაშუთი. ასეთი ბედი ეწია მათ დანარჩენ ციხეებსაც.

შემდეგ წელს ჰულაგუ წავიდა ბაღდადის სახალიფოსაკენ. აღვნიშნავ, რომ იმ დროს ბაღდადის სახალიფო შედარებით პატარა სამფლობელო იყო, მაგრამ ხალიფას რელიგიური ავტორიტეტი, როგორც სუნიტების რელიგიური (სულიერი) მეთაურისა, კვლავ შეურყეველი იყო. ჰულაგუმ ის ხანმოკლე იერიშის შედეგად აილო. მონღოლები 20 დღე არბევდნენ ბაღდადს. მოსახლეობა განურჩევლად სქესისა და ასაკისა, გაჟლიტეს. შეიწყალეს ქრისტიანები და იუდეველები, რომელთაც ჰულაგუ ხანი თავის მომხრეებად თვლიდა. განადგურდა ბაღდადის ძვირფასი ბიბლიოთეკა. ასევე ხელოვნებისა და კულტურის ძეგლები. 1258 წლის 10 თებერვალს ხალიფა მუსთასიმი ჰულაგუს ჩაბარდა, რომელმაც მისივე ბრძანებით გადასცა ჰულაგუს აბასიანთა საიდუმლო საგანძურის სამალავის გასაღები. აბასიანთა მიერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაგროვილ ძვირფასეულობას ჰულაგუ ხანი დაეუფლა. ჰულაგუს ბრძანებით ხალიფა სიკვდილით დასაჯეს (იგი ცხენის ფლოქვებით გათელეს). სიკვდილით დასაჯეს ასევე აბასიანთა საგვარეულოს ყველა მამაკაცი. ამგვარად, აბასიანთა სახალიფო, რომელიც ხუთ

საუკუნეზე მეტ ხანს არსებობდა, მონღოლებმა მოსპეს.

მაღევე ჭულაგუმ ალეპო, დამასკო და სხვა ქალაქებიც აიღო (1260 წ.), მაგრამ მას თავისი ლაშქრობის შეჩერება მოუხდა მუნჯე ყაენის გარდაცვალების გამო. ჭულაგუ უკან - აზერბაიჯანში დაბრუნდა. ამით ისარგებლეს და კაიროში ალაღინეს აბასიანთა სახალიფო, რომელსაც მხოლოდ სასულიერო ხელისუფლება დაუტოვეს.

ბაღდადის სახალიფოს განადგურებამ და ხალიფას სიკვდილით დასჯამ მუსლიმური სამყარო აღაშფოთა. გამუსლიმებულმა ოქროს ურდოს ხანმა ბერქემ (1256-1265 წწ.) ისლამის დაცვის საბაბით ჭულაგუს წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. ბერქეს მიერ ჯარის გამოგზავნის რეალური მიზეზი კი ოქროს ურდოს საზღვრების სამხრეთით გადმონევა იყო. 1262 წელს ჭულაგუს და ბერქეს ჯარები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

ჭულაგუ ხანმა ირანში შექმნა მონღოლური ულუსი. «დიდმა ხანმა» - ყუბლაი ყაენმა მისი ძალაუფლება სცნო მონღოლთა მიერ როგორც ახლადდაპყრობილ, ისე ძველ სამფლობელოებზე ირანში და მას «ილ-ხანი»-ს ტიტული მიანიჭა.

ჭულაგუიანთა სახელმწიფოს არსებობის დასაწყისად მიჩნეულია 1258 წელი. ამ სახელმწიფოს დიდი ტერიტორია ეკავა. ჭულაგუ ხანის ვასალები იყვნენ საქართველო და შირვან შაჰების სახელმწიფო. მას ხარკს უხდიდა ტრაპიზონის იმპერია. ჭულაგუიანთა ვასალი იყო რუმის სელჩუკიანთა სასულთნო. ასევე კილიკიის სომხური სამეფო (1080-1375 წწ.), რომელიც შემდგომ ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჭულაგუიანთა დასაყრდენად იქცა. მხოლოდ გილანის ოლქი ინარჩუნებდა კარგა ხანს დამოუკიდებლობას.

ჭულაგუიანთა მტრები იყვნენ ოქროს ურდო, ჩალათაელთა სახელმწიფო, სირიისა და ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოები. ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლამ განაპირობა ჭულაგუიანთა ხანგრძლივი ურთიერთობები ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან: საფრანგეთსა და გენუასთან. პირველი ილხანების დროს ილხანებს, საფრანგეთს, ინგლისს და რომის პაპს შორის გაიცვალა ელჩობები, რომელთა მიზანიც მამლუქთა წინააღმდეგ საერთო კავშირის შექვრა იყო “ქრისტეს საფლავის გათავისუფლებისათვის”.

ჭულაგუიანთა სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა ილხანს. მონღოლი უფლისწულები, ნოინები და ამირები ილხანის ვასალებად ითვლებოდნენ. ისინი მისგან საუფლისწულოდ იღებდნენ ტერიტორიებს, რომლებიც მათ დიდ შემოსავალს აძლევდათ. მონღოლთა ჯარის მხედართმთავრები თურქი და

მონღოლი ფეოდალები იყვნენ. ჯარს შემორჩენილი ჭქონდა გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფა. ისინი ვალდებულნი იყვნენ ხანის დაძახილზე გამოცხადებულნი იყვნენ სამომად. ილხანთა არისტოკრატია მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. ილხანი ერთ მუდმივ ადგილზე არ ცხოვრობდა. წლის ნაწილს ის ბაღდადსა და თავრიზში ატარებდა, დანარჩენ ნაწილს კი, მომთაბარეობდა.

ძველი ადგილობრივი დინასტიები: ლურისტანში, ფარსში, ქერმანში, იაზდში, ჰერათში და სხვა, რომლებმაც ჭულაგუს ირანში შესვლის დროს მორჩილება გამოუცხადეს მას, დარჩნენ მის ვასალებად. ქვეყნის მართვა მათ შეეძლოთ ილხანის წარმომადგენლის (მონღ. ბასკაკი. სპარს. შინა) კონტროლქვეშ.

ბინადარი მოსახლეობით დასახლებული უზარმაზარი ტერიტორია, რომლებიც განსხვავდებოდნენ თავიანთი ენით, რელიგიით და კულტურით, მონღოლებისათვის ძნელად სამართავი აღმოჩნდა, რადგან მათ ქვეყნის მართვა-გამგებლობის გამოცდილება არ ჭქონდათ. მონღოლები ამისთვის საჭირო კადრებს ირანელ მოხელეებს შორის პოულობდნენ. ის სამოქალაქო ბიუროკრატია, რომლებიც ადრე სელჩუკიანებთან და ხორეზმშახებთან მსახურობდნენ, დასთანხმდნენ ილხანებთან თანამშრომლობას. ერთ-ერთი ასეთი ძველი ირანული ოჯახი, რომელიც ჭულაგუ ხანმა სახელმწიფო სამსახურში დააწინაურა, ჯუგეიანთა ოჯახი იყო.

მმართველობის აპარატის სათავეში მდგომი ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ მისწრაფობდა. ირანის სამოქალაქო ბიუროკრატია შეეცადა ხანის ძალაუფლების გაძლიერებას, მის გამუსლიმებას, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას და მომთაბარე არისტოკრატის გავლენის შესუსტებას. აქვე მოკლედ აღვნიშნავ, რომ ჭულაგუ შამანისტი იყო, მაგრამ დიდ ტოლერანტობას იჩენდა სხვა რელიგიების მიმართ. ის განსაკუთრებით მფარველობდა ქრისტიანებს, რადგან ისლამის დამცველ ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლისას ჭულაგუ ხანი ცდილობდა ქრისტიანი ქართველი და სომეხი ფეოდალების გამოყენებას.

1259 წელს ჭულაგუს ხელშეწყობით დიდმა ირანელმა მათემატიკოსმა და ასტრონომმა ნასირ ალ-დინ ტუსიმ ააშენა ობსერვატორია, რომელთანაც იყო დიდი ბიბლიოთეკაც. ამ ასტრონომიულ ობსერვატორიაში მუშაობენდნენ არა მარტო ირანელი და არაბი, არამედ ჩინელი და ინდოელი ასტრონომებიც. ჭულაგუ, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ახალისებდა



სწავლულ მათემატიკოსებს, მედიკოსებს და სხვა, უნიშნავდა მათ ჯამაგირს და ისინი თავის კარზე ჰყავდა.

აბალა ხანმა (1265-1282 წწ.) გააგრძელა მამის, ჰულაგუს საგარეო პოლიტიკა. მან 1265 წელს დაამარცხა ჩაღათაელთა ჯარი, რომელიც ხორასანში შემოიჭრა. 1273 წელს ჯარი ბუხარაში გაგზავნა და საშინლად ააოხრა ის. ჰულაგუიანთა მტრობა გრძელდებოდა ეგვიპტის მამლუქ სულთნებთან. ეგვიპტელებმა ჰულაგუიანთა ჯარი 1266-1277 წლებში დაამარცხეს. ეგვიპტელებმა ასევე დაარბიეს ჰულაგუიანთა ვასალი კილიკიის სომხეთის სახელმწიფოც.

უკვე აღვნიშნე, რომ ჰულაგუს დროიდან დამყარდა „კავშირ-ურთიერთობები“ რომის პაპებთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ეგვიპტის წინააღმდეგ მტრული პოლიტიკური ერთეულის წარმოშობა სასურველი იყო საფრანგეთის მეფის და რომის პაპისათვის. ამიტომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, ილხანებს მონაწილეობა მიეღოთ სირიისა და პალესტინის დაპყრობაში, რომელიც მიმართული იყო ეგვიპტის წინააღმდეგ. ამ მიზნით აბალა ხანთან დესპანები გაგზავნა რომის პაპმა კლიმენტი IV-მ და ინგლისის მეფე ედუარდ I-მა, რის შედეგადაც, ირანის ქალაქებში კათოლიკე მონაზონ-მისიონერები გამოჩნდნენ.

აბალას გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა თეგუდარი (1282-1284 წწ.). მან ილხანებს შორის პირველმა მიიღო ისლამი და მუსლიმური სახელი აჰმედი დაირქვა. მან კურსი აიღო სახელმწიფოს ისლამიზაციასა და მამლუქებთან მეგობრულ ურთიერთობაზე. თეგუდარმა მიმართა სახალიფოს ყოფილ ცენტრს – ბაღდადის მოსახლეობას, რომ მან მიიღო ისლამი და გახდა მუსლიმთა მფარველი. თოგუდარ-აჰმედ ხანმა ეგვიპტეში ორჯერ გაგზავნა ელჩობა მეგობრობისა და საეკონომიკური ხელშეკრულების წინადადებით. მის მიერ გატარებულმა ისლამიზაციის პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია მონღოლ მომთაბარე ფეოდალებს შორის, რომლებიც მხარს ძველ მონღოლურ ტრადიციებს უჭერდნენ და ისლამისადმი მტრულად იყვნენ განწყობილები. დაიწყო შინაომი თოგუდარსა და მის მეტოქე არლუნს შორის. ის ამ ბრძოლაში დამარცხდა და სიკვდილით დაისჯა.

არლუნ ხანის (1284-1291 წწ.) მმართველობის დროს გახშირდა მონღოლ მომთაბარე ფეოდალთა დაჯგუფებებს შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. არლუნის მმართველობის დროს ირანული მუსლიმური ბიუროკრატიის გავლენა შესუსტდა სახელმწიფო აპარატში. ისინი შეცვალეს იუდეველებითა და ქრისტიანებით. 1289

წელს არლუნ ხანმა ვეზირად დანიშნა ებრაელი ვაჭარი საად ად-დოულე. მან არლუნთან შეთანხმებით თანამდებობებზე თავისი ერთგული ებრაელები დანიშნა. საად ად-დოულემ სცადა სახელმწიფოს ფინანსური განმტკიცება. მოხელეების უკანონობასთან საბრძოლველად და გადასახადების აკრეფის მოსაწესრიგებლად სახელმწიფოს ყველა ოლქში მან თავისი ერთგულები გაგზავნა. ამ ღონისძიებების შედეგად, უკვე ერთი წლის შემდეგ, თითქმის დაცარიელებული ხაზინა შეივსო.

საად ად-დოულეს ამ ღონისძიებებმა მონღოლური არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილო იყო ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია. ირანელი ბიუროკრატები, რომლებმაც ძველი პრივილეგიები დაკარგეს, ეწოდნენ ად-დოულეს საწინააღმდეგო აგიტაციას. საადის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რის შედეგადაც ის სიკვდილით დასაჯეს და მოიპორეს მის მიერ დანიშნული ყველა მოხელე.

არლუნის დროს ილხანების ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან კვლავ გაგრძელდა. 1287-1289 წლებში რომში, გენუაში, საფრანგეთსა და ინგლისში გაგზავნეს ელჩობა, რომლის სათავეშიც იდგა ნესტორიანელი მონაზონი რაბ-ბან საუმა, რომელიც წარმოშობით ჩინელი უილური იყო. რომის პაპმა არლუნს წერილები გაუგზავნა და მოუწოდა, რომ მას მიეღო ქრისტიანობა და ჩართულიყო ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ ლაშქრობაში. ეგვიპტის მამლუქების წინააღმდეგ ორგანიზებულ ერთობლივ ქმედებას შედეგი არ მოუტანია.

1291 წელს არლუნს დამბლა დაეცა. მისი ავადმყოფობის დროს სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ლურისტანში მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა დაიკავეს ისპაჰანი და დახოცეს ილხანთა მოხელეები, მაგრამ ეს აჯანყება მალევე ჩაქრობილ იქნა. 1291 წელსვე ილხანი გახდა ქეილათუ (1291-1295წწ.). ის შეეცადა ცალკეულ რელიგიურ დაჯგუფებებს შორის მშვიდობის დამყარებას. მისმა ვეზირმა საადრ ად-დინმა ახალი გადასახადები შემოიღო, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია. გამოშვებულ იქნა ქალაქის ფული-ჩაო. ვეზირი ფიქრობდა, რომ საშინაო ვაჭრობა ქალაქის ფულზე გადავიდოდა, ოქრო კი ხაზინაში დაგროვდებოდა. ამ ფულის გამოშვებიდან მალევე (1294 წ) დაიხურა ყველა ბაზარი. დაირღვა საქარაენო ვაჭრობა, შეწყდა ქალაქებიდან გადასახადების აკრეფა, ამიტომ ჩაო გააუქმეს. საადრ ად-დინს ხალხმა უწოდა

სადრი-ჩაო (ქალაქის სადრი).

ყაზანი 1295 წელს ჰულაგუიანთა ყანი გახდა. მან ირანულ მუსლიმურ სამოხელეო და სასულიერო არისტოკრატისთან დაახლოების მიზნით აუცილებლად ჩათვალა ისლამის მიღება. ასევე გაატარა მთელი რიგი რეფორმები. აღენიშნავ, რომ ყაზანი ადრე ბუღდისტი იყო, შემდეგ მიიღო ისლამი და სახელად დაირქვა მაჰმუდი. ისლამი ჰულაგუიანთა სახელმწიფო რელიგია გახდა. გამოვიდა ყანის ბრძანება ეკლესიებისა და სინაგოგების დანგრევის შესახებ, რომლებიც იყო თავრიზში, ჰამადანში, მარაღაში და სხვა ქალაქებში. ყაზანი ყანმა მალე გაითვალისწინა ქართველი და სომეხი ფეოდალების თხოვნა, რომელთა მხარდაჭერაც მას ძალიან სჭირდებოდა ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლაში და შეწყვიტა ქრისტიანთა და იუდეველთა დევნა, მან მათ მიმართ ტოლერანტული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყაზანმა ასევე გააუქმა არამუსლიმებზე დანესებული გადასახადი „ჯიზია“.

ისლამის მიღების შემდეგ ყაზანს მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მუსლიმი ფეოდალები და მონღოლური ფეოდალური არისტოკრატის ისლამიზებული დაჯგუფებები. ასევე მას მხარს უჭერდა გამუსლიმებული თურქულ-მონღოლური სამხედრო არისტოკრატია.

ყაზანი ყანი კარგად იცნობდა ირანის კულტურას და აფასებდა მას. ის დაინტერესებული იყო მედიცინით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებით. ის აგროვებდა სამკურნალო ბალახებს. მან დაადგინა მრავალი სამკურნალო ბალახის არსებობა ირანში.

ყაზანისათვის ძნელი იყო ცალკეული მხარის მოხელეების სეპარატიზმთან ბრძოლა. ისინი ხშირად ჯანყდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან გასათავისუფლებლად. შინაურ ბრძოლას თან ემატებოდა საგარეო ბრძოლებიც, 1295 წელს ხორასანსა და მაზანდარაში შემოიჭრნენ ჩალათაელები, ისინი იქიდან მალე განდევნეს, მაგრამ მათ ეს ოლქები საკმაოდ დააზიანეს.

ყაზანის მიერ გატარებულ საშინაო რეფორმებს ხელმძღვანელობდა რაშიდ ად-დინ ფაზულლაჰ ჰამადანი - ექიმი, ენციკლოპედისტი, ღვთისმეტყველი და გამოცდილი ფინანსისტი. ის იყო ილხანის უახლოესი მრჩეველი. მას ოფიციალურად პირველი ვეზირის და სახელმწიფოს ბეჭდის მცველის პოსტი ეკავა. გარდა სახელმწიფო მოღვაწისა, რაშიდ ად-დინი იყო შუა საუკუნეების დიდი სპარსელი ისტორიკოსი.

ყაზანი ყანის რეფორმებს საფუძვლად ვეზირ-ისტორიკოსის პოლიტიკური იდეები ედო. ესენი იყო:

ილხანის და მონღოლური არისტოკრატის დაახლოება არაბულ ფეოდალურ არისტოკრატისთან, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, მონღოლურ-თურქულ სამხედრო-ნომადური არისტოკრატის თვითნებობის აღაგმვა, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, საფინანსო აპარატის გაჯანსაღება, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის და საქალაქო ცხოვრების აღორძინება. ყაზანის დროს ხელმძღვანელი პოლიტიკური როლი მონღოლურ-თურქული სამხედრო-ნომადური არისტოკრატის ხელიდან ირანული სამოქალაქო ბიუროკრატის და სასულიერო არისტოკრატის ხელში გადავიდა. ამაში დიდი წვლილი რაშიდ ად-დინს მიუძღვის.

ყაზანი ყანმა დედაქალაქი თავრიზი გაათავოთოვა და გაალამაზა. თავრიზის გარეუბანში მან თავისივე სიცოცხლეში ააშენა მავზოლეომი. ეს მავზოლეომი მოპირკეთებული იყო მდიდრულად, მაღალკვა-ლითი-ციური ირანელი ხელოსნების მიერ. ის საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მავზოლეუმის ახლოს ააშენეს ორი მედრესე, ჰოსპიტალი, ობსერვატორია, ბიბლიოთეკა, არქივი, აბანოები, წყალსაცავი. ამ დანესებულების შესანახად შეიქმნა სპეციალური ვაკვი.

რაშიდ ად-დინი მთელს კვარტალს (ქალაქის მეოთხედს) ფლობდა. მის საკუთრებაში მყოფ ტერიტორიას თავრიზში „რუბ-ე რაშიდი“ ჰქვია. აქ იყო „ულემების ქუჩა“, სადაც ღვთისმეტყველები, მუეზინები და ყურანის მკითხველები სახლობდნენ. თავრიზში იყო ასევე შესანიშნავი ჰოსპიტალი, სადაც ექიმები ჩამოიყვანეს ინდოეთიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან. რაშიდ ად-დინის ბიბლიოთეკაში მოთავსებული იყო სამოცი ათასი წიგნი ბუსტი მეცნიერებებიდან, ისტორიიდან, ღვთისმეტყველებიდან და ა.შ. მათ შორის იყო ეპოქის სახელგანთქმული კალიგრაფების მიერ გადაწერილი ყურანის ხელნაწერებიც.

ყაზანი ყანმა სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის განმტკიცების მიზნით ტყვეებისა და მონებისგან დაკომპლექტებული გვარდიის ტიპის ჯარი ჩამოაყალიბა. მან ასევე დიდი ყურადღება მიაქცია სოფლებში მეჩეთების და აბანოების აშენებას.

ყაზანი ყანის რეფორმების შედეგად სახელმწიფო ხაზინა მნიშვნელოვნად შეივსო. სახელმწიფო აპარატი განმტკიცდა და მოხელეების თვითნებობა შეიზღუდა. რეფორმატორი ყაზანი ყანი 1304 წელს გარდაიცვალა. ყანი მისი ძმა, ულუჯათუ გახდა, რომლის მუსლიმური სახელი იყო სულთანი მუჰამად ხოდაბანდე (1304-1316წ.).



ახალმა ილხანმა ძველი ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკვაშირედ საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზს მიმართა. ასევე მან წერილები გაუგზავნა ინგლისის მეფე უდუარდ II-ს და რომის პაპ კლემენტი V-ს. მათ მხოლოდ დაპირება მისცეს მას. პრაქტიკულად კი არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომაც, ულუჯაითუ ხანმა ხელი აიღო ლაშქრობაზე. 1307 წელს ილხანთა სახელმწიფომ შეიერთა გილანი, რომელიც კარგა ხანს ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას.

ულუჯაითუ საშინაო პოლიტიკაში ყაზანის კურსს აგრძელებდა. მან განაახლა ქალაქ სულთანოეს მშენებლობა. ამ ქალაქის აყვავება განაპირობა საქარაენო გზებთან და იალაღებთან მისმა სიახლოვემ. ეს ქალაქი მალე ილხანის საზაფხულო დედაქალაქი გახდა. ულუჯაითუს დედა ქრისტიანი იყო. ხანი ბავშვობაში ქრისტიანად იყო მონათლული. შემდეგ სუნიტური ისლამი მიიღო. ბოლოს ის შიიტი გახდა. ყაენი ცდილობდა, სახელმწიფო რელიგიად შიიზმი გამოეცხადებინა, მაგრამ მისმა ამ მცდელობამ მარცხი განიცადა, ულუჯაითუს ამ მცდელობის წინააღმდეგი იყო ირანის სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატია. ულუჯაითუს დროს კვლავ განახლდა არამუსლიმებისაგან ჯიზიას აღება.

ულუჯაითუს შემდეგ ტახტზე ავიდა აბუ-საიდ აბდურ-ხანი, რომელიც მაშინ 12 წლის იყო. მისი მცირეწლოვნობის გამო, სახელმწიფოს მართველი გახდა ამირა ჩოხანი. ამ დროიდან უკვე თანდათან ძლიერდება მონღოლური მომთაბარული არისტოკრატია, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო მმართველობის ყველა უმნიშვნელოვანესი სფერო. ძალიან მალე მოისპო ყაზანის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგები. ამირა ჩოხანმა უზარმაზარი ძალაუფლება მიიღო. ამით უკმაყოფილო მონღოლმა ფეოდალებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, მაგრამ ის დამარცხდა.

1320 წელს ეგვიპტელებმა ააოხრეს ილხანების ვასალი კილიკიის არმენია. 1323 წელს ილხანთა სახელმწიფოსა და ეგვიპტეს შორს დაიღო მეგობრული საზავო

ხელშეკრულება. არეულობა ილხანებთა სახელმწიფოში კვლავ გრძელდებოდა. ფეოდალურმა აჯანყებებმა, რასაც თან ემატებოდა სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობა, სტიქიური უბედურებები და შიმშილი, ილხანთა სახელმწიფოს სულ უფრო ასუსტებდა. XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობები სულ უფრო გაიზარდა. ამ აჯანყებების განხილვაზე სტატიის ფორმატიდან გამომდინარე ყურადღებას ვეღარ გავამახვილებ.

მეთოთხმეტე საუკუნის 30-იან წლებში მსხვილ ფეოდალებს შორის ბრძოლამ და სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა ილხანთა ირანი დაშლამდე მიიყვანა.

ალ ყაზან ხანის რეფორმებმა მართალია უზრუნველყო ქვეყნის აღორძინება, მაგრამ მან მხოლოდ დროებით შეაჩერა ილხანთა სახელმწიფოს რღვევა. ამ სახელმწიფოში გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები, რომლებსაც არ ჰქონდათ მტკიცე ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული კავშირები. ეს სახელმწიფო მხოლოდ ხმლის ძალით იყო გაერთიანებული. ილხანთა სახელმწიფოში ფეოდალური დაქვემდებარება გაიზარდა. უკვე ილხან აბუ-საიდ ბაჰადურ ხანის დროს ადგილი ჰქონდა სამხედრო-ნომადურ არისტოკრატის შორის შინაურ ბრძოლებს და ძლიერი ადგილობრივი ფეოდალური დაჯგუფებების ჩამოყალიბებას. ამ ხანის სიკვდილის შემდეგ (1335 წ.) აღარ იყო მმართველი, რომლის ხელისუფლებსაც მთელი სახელმწიფო სცნობდა. მსხვილი ფეოდალური დაჯგუფებების მიერ ტახტზე აყვანილ ჩინგიზ ხანის შთამომავლების ძალაუფლებას ნომინალურად სცნობდნენ. ეს მარიონეტი ილხანები სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატის მხოლოდ უბრალო იარაღის როლს ასრულებდნენ. ფაქტობრივად, XIV საუკუნის 40-იან წლებში ილხანთა სახელმწიფო უკვე დაიშალა.

#





სპარსული პოეზიის ახალი თარგმანები



კლასიკური ხანიდან

რუდაქი

მომგვარე ღვინო, ჩემო კარო, და მოდი ჩემთან
ცალ ხელში ჩანვით, მეორეში ლალის ფიალით...
ისეთი ღვინო მომანოდე, რომ მისი ეშხით
ფარსანგზე ქვებმა იაგუნდად იწყონ ბღღერიალი!

ამ ღვინის შხეფი რომ დაეცეს მდინარე ნილოსს,
ერთი ნიანგიც ვერ წაუვა ფხიზლად მის მისხალს!
ან მინდვრის შველმა რომ იგემოს, ის ერთი წვეთიც
მძვინვარე ლომად გადააქცევს, ვეფხვების რისხვად!

მოდი წავიდეთ, სულიც, გულიც ღმერთს მივაბაროთ,
ღირჰემ-დინარზე დარდი გულეებს არ მივაკაროთ,
არად ჩავაგდოთ წუთისოფლის ამოვება,
ღვთისმოსაობით მოვილიოთ მთელი სამყარო.

ამ წუთისოფელს მიადევნე გონების თვალი,
განაგდე შური და აღიდე გული კაცური!
ააგე ნავი, გამოკვერე სიკეთის რვალით
და ბობოქარი ცხოვრების ზღვა ისე გაცურე!

თეთრმა თოვლმა შემოსა რუხი მთის მწვერვალები,
გაიძარცვა ჩინარი, ნორჩი ბალის მშვენება,
რაც სიცოცხლით ჰყვალდა, მიეღულა თვალები
და ხასხასა ველებიც სიზმრად თუ გვეჩვენება.

სავალალოა, დარბაისელ კაცს
რეგვინი შვილი ეურჩებოდეს,
მამის სიბრძნე და მუყაითობა
ხელთუქმნელ განძად არა რჩებოდეს!

ხაყანი შირვანელი

არცა - რა სარო, არცა ტიტა და არცა ვარდი,
ჩემი ცხოვრების სავარდებში გამრავლდა დარდი.
შემოვიძარცვე მსახვრალ დღეთა სრბოლაზე ჭმუნვით,
არც ალვა შემრჩა, არცა ჩალა, არც ეკალ-ბარდი.

ხაყანი, თუკი შეისმინე ღალადი ბრძენთა,
მამ სიყვარულის ელეთ-მელეთს რა უნდა შენთან ?!
დარბაისელო, განერიდე ამ მაცდურ მახეს,
რამეთუ ვაუკაცს ფერფლად გაქცევს ტრფიალი მზეთა!

წყაროს წყალივით გვანანწალა ურვამ და გლოვამ,
წყაროს წყალივით ვზიდეთ ეკლის და ჩეჩქის გროვა,
ვერ დავივანებთ საბოლოოდ მამულის მკერდზე,
წყაროს წყალივით წავალთ თავქვე და აღარ მოვალთ.





სანუთრო, მისი განავისი - არაფერია,
ეს წვა-ღულილი მარადისი - არაფერია,
ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი და ნაღდი განძი
სიჭაბუკეა, მაგრამ ისიც - არაფერია!

ოდესაც გიმზერ, მე სხვა ვარ და თმენა სხვა არის,
ოდეს გმორდები - ჩემს გარშემო ცრემლის ზღვა არის,
ეს ჩემი დარდი - უსაშველო ყაფის მთა არის,
ეგ შენი გული - უღმობელი ცივი ქვა არის.

ვარდს თუ წარსტაცე ეგ სიტურფე და ელვარება,
სიქორფე დანვთა, ზილფთა ეშხი და ნეტარება...

აგაფი





რუდაქის მავზოლეუმი სამარყანდში

იპკურებ ცვარ-ნამს - არემარე ვარდისფრად ბრწყინავს,
 გაშლი დალალეებს - არე ბინდით დაიფარება!

თუმც განზორებით სიხარულის სხივი მიქრება,
 მაინც ამავეს ნეტარებით შენზე ფიქრებმა...
 მთვარეულივით დავდივარ და ვჩურჩულებ, „ღმერთო,
 ეს თუ გაყრაა, მასთან შეყრა რაღა იქნება!“

ტურფავ, თუმცა სული შენი ქრისტეს ირგვლივ ტრიალებს,
 სულიწმინდას ვერ გინოდებ...კაცი გამატიალდე!
 მაინც შენს გზას გამოვეყურებ, მაინც შენ გვედრები,
 მოი, მოი, სიყვარულის ცეცხლით ამბრიალდე!

ვაზის ჯვრიან სატრფოს ეშხი ჯიქურ გულს რომ მეცა,
 მეც აფხაზეთს დავესახლე, ქართველი ვარ მეცა!
 ვეაჭები: ნუ გამწირავ, მოი, მოი, თორემ
 ენა დაშვრა, ცრემლი დაშრა, ბინდად მექცა მე ცა!

ჩემი ცხოვრების გამოყანა საოცარია,
 დღე-ღამესავით ნაირფერი და ტკბილ-მწარეა!
 სუნთქვა მიჭირს და თმაში თეთრიც ფრიად მაშინებს,
 თოვლი რომ მოსდევს გაბმულ ქარებს - ეს ზამთარია!

მე შენი ზილფის ეშხით მკვდარი ვარ,
 მაგ ღვინის თასის შხვით მთვრალი ვარ,
 შენ თუკი გიშრის თვალით ამაყობ,
 მე შენი ბეჭდის ლალის თვალი ვარ!

ჰაფეზ შირაზელი

ჩემი სატრფო როცა ასწევს ფიალას,
 კერპთა ბაზარს შური შეაზრიალებს...
 ღმერთო ჩემო, თვით მუჰთასიბს დაათრობს
 თვალთა მისთა შექნათელი ბღღვრიალი!
 თევზივით ვარ ზღვაში შეცურებული,
 სიყვარულის ანკესს მონყურებული.
 მელირსება? მის ფერხთა ქვეშ მოზარე
 სიხარულის ცეცხლად ამბრიალოს?!
 იღღვგრძელოს, ვინც ლალად და მარადის
 ჰაფეზივით ეძალევა ფიალას!

კახაბერი



ვარდფურცლობის უამს გაშლილ სუფრას რა შეედრება?

ამივსე თასი, მერიქიფევი, გესმას ვედრება!
 ყოველი წამი სანეტარო - ვინამოთ განძად,
 შორს სიმძიმელი, ამაოა ბედის ყვედრება!
 არავინ უწყის, ჩვენი დღენი საით მიდიან,
 ჩვენი სიცოცხლეც წამისწამად ბენვზე ჰკიდიან...
 ლალისფერ ღვინით მოვიღვინოთ ერამის ბალში,
 სად ნაკადულის დაქარგული ვერცხლის კიდეა.
 სანუთროს ჩხრეკით ნუ წავიხდენთ, ძმებო, გუნებას,
 ლოთ ბიჭებს ვკითხოთ, აგვისსნიან დედაბუნებას.
 ოდითგან ლოთი „ლოთიანად“ მოუნათლიათ
 და ჩვენც რომ გული ლხენას მივცეთ, გაგემტყუნება?
 მაშ რაღას ვაქნევთ, ფარდის იქით რა იმალება?
 შეგვინდობს ღმერთი, სხვა რაღაა ღვთის მოწყალება?

ჰაფეზს ღვინო სურს, განდევილს კი სამოთხის წყარო,
 ჩვენ - ჩვენი მოგვცეს უფალმა და დაგვხსნას წვალეზას!

თანამედროვე პოეზიის

ნიმა იუმიჯი

ეჰეი, კაცნო!

ეჰეი, კაცნო, ზღვის პირას რომ შეყრილხართ ლხენით!
 ადამიანი სულს ღაფავს წყალში...
 უსასოდ ქმნილი ებრძვის სტიქიონს.
 ხელ-ფეხს იქნევს და გამწარებით ცდილობს საბრალო,
 რომ შავბნელ ტალღებს დააღწიოს როგორმე თავი.
 თქვენ კი იმავე დროს, ამაყად რომ იშვებთ და ილხენთ,





ჰაფეზის მავზოლეუმი

თავს რომ იტყუებთ, უძლურებას ვძლიეთო ჩვენსას,
 მაშინ, როდესაც მოჰკვებით ასე ძალმოსილებას
 და თავმომწონედ ეძალებით ზიზილუპილებს,
 ადამიანი ეწირება ზღვის მღვრიე მორევს!
 ეჰეი, კაცნო, ნაპირზე რომ ლალობთ და ხარობთ,
 მაძღრისად რომ ჭამთ და ძვირფასად რომ იმოსებით,
 ადამიანი გიხმობთ საშველად...
 მრისხანე ტალღებს დაქანცული მკლავებით ებრძვის,
 დაფეთებული თვალებით გეძებთ
 და ძლივძლივობით არჩევს თქვენს ლანდებს.
 წყლის შავ უფსკრულში იკარგება,
 ძლივსღა მოუჩანს თავი და ტანი...
 ეჰეი, კაცნო!
 შორიდან მოდის და კვლავ ბებერ სამყაროს ელტვის,
 საშველად გიხმობთ, შემწეობას გემუდარებათ
 და თქვენ კი, თქვენ კი

მყუდრო ნაპირზე არხეინად დაბორიალობთ.
 ტალღა კი ბრდღვინავს, ეხეთქება მღუმარე კლდეებს,
 მყისვე იმსხვრევა და მთვრალივით ბარბაცებს ბნელში,
 ის ძახილი კი შორიდან კვლავ ვედრებად ისმის:
 ეჰეი, კაცნო!..
 გუგუნებს ქარი, ჩქარზე ჩქარი გუგუნებს ქარი,
 ზარით და ზათქით ეხეთქება მღუმარე ნაპირს.
 ქარის ზუზუნში, წყლის ხმაურში ყურს სწვდება ისევ:
 ეჰეი, კაცნო!..

სპარსულიდან თარგმნა
 ნოდარ ნონიაშვილმა





ირანის სიდიდით მესამე, სამხრეთ ხორასანის ოსთანი, 150 800 კვადრატული კილომეტრის ფართობითა და მრავალფეროვანი კლიმატური პირობებით, მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბირჯანდი. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხორასან-რაზავის ოსთანი, დასავლეთიდან – იაზდის, ისპაჰანის და სემნანის, სამხრეთიდან – ქერმანის და სისტან-ბელუჯისტანის ოსთანები, ხოლო აღმოსავლეთიდან აქვს 331 კილომეტრიანი საერთო საზღვარი ავღანეთთან.

სამხრეთ ხორასანი ერთ-ერთია იმ სამი პროვინციიდან, რომელიც შეიქმნა 2004 წელს, ირანის მთავრობის და პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხორასანის ოსთანის გაყოფის შემდეგ.

მცირე ნალექის და სხვა არახელსაყრელი პირობების გამო, ამ პროვინციაში სოფლის მეურნეობა არ არის გავრცელებული. ეს ოსთანი, რეგიონის ბუნებასთან და კლიმატთან თავსებადი პროდუქტების – შაფრანის და კოჩახურის მსხვილი ექსპორტიორი მხარეა.

სამხრეთ ხორასანის პროვინცია, განსაკუთრებული კონტრასტული ბუნებით – პროვინციის სამხრეთ ნაწილში ლუთის მარილიანი უდაბნოს ულამაზესი ხედებით და ჩრდილო-აღმოსავლეთით – მთიანი საძოვრებით, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ და ტურისტულ ზონებს შორისაა მოქცეული.





სამხრეთ ხორასანში, კერძოდ ქალაქებში ბირჯანდი, ხუსფი, სარბიშე და ნეჰზანდანი, არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილი და არქიტექტურული ძეგლია. ისტორიულად, ქალაქი ხუსფი სამხრეთ ხორასანის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად ითვლება, სადაც უამრავი ძველი შენობა-ნაგებობა და ისტორიული ძეგლია. ქალაქ სარბიშეს ისტორიული ძეგლები, წინაისლამურ პერიოდით თარიღდება და ამ მხარის მდიდარი კულტურის ნათელი მაგალითია. აქ შეგიძლიათ ნახოთ უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და ძველი სასახლეები, გამოქვაბულები და ულამაზესი სოფლები. ქალაქი ნეჰზანდანი საინტერესოა აქ მდებარე ძველი, ისტორიული დიდი ციხესიმაგრით, რომელიც აგებულია გამოუმწვარი აგურის, თიხის და ტალახის ფენებისგან და პართიული და სასანური ეპოქით თარიღდება.

ბირჯანდი, სამხრეთ ხორასანის პროვინციის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული და მნიშვნელოვანი რეგიონია. ეს ტერიტორია მოიცავს ყველაზე თვალსაჩინო არქიტექტურულ შენობებს, ძველ ბაღებსა და ისტორიულ აბანოებს, რომელთა უმეტესობა თარიღდება ყაჯარული და მენდური პერიოდებით.

ბირჯანდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობაა ე.წ. კოლაჰუარანგის ციტადელი, რომელიც აშენებულია ექვს სართულად ზიკურათის სტილში. ამ ციტადელში გვხვდება ცივილიზაციის მრავალი ფენა, რაც ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისათვის.

ბირჯანდის კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ღირსშესანიშნაობაა კულტურულ-ისტორიული უბანი „ჩაჰარ დერახთა“-ი (სიტყვასიტყვით „ოთხი ხე“), რომელიც იწყება შოუქათის სკოლასთან და მთავრდება ჯამე აშურას მეჩეთთან. მხოლოდ ამ პატარა ქუჩაზე, ოცზე მეტი ისტორიული ძეგლია, რამდენიმე მედრესე, სალოცავი სახლი, მეჩეთი, საცხოვრებელი სახლები და წყლის რეზერვუარები, რომლებიც ირანის კულტურულ ძეგლთა ნუსხაშია რეგისტრირებული.

წერილობით წყაროებში ბირჯანდის სახელი პირველად XIII ს.-ის ალ-ჰამავი იაკუთის დიდი გეოგრაფიულ ლექსიკონში „მუჯამ ალ-ბულდანი“-შია ნახსენები. ბირჯანდის სახელი ასევე გვხვდება სხვა ისტორიკოსების და მოგზაურების - მარკო პოლოს, ალ-მაყდისის, ჰამდალაფ მოსტოუფისა და ჰათიზი აბრუს ჩანაწერებშიც.



სამხრეთ სოჩანის კუდბურღი მემკვიდრეობა

აქბარიეს ბაღი და სასახლე

აქბარიეს ბაღის და სასახლის მშენებლობას საძირკველი ჩაეყარა ზენდების მმართველობის პერიოდში, ალამების საგვარეულოს მიერ. კომპლექსის მშენებლობა და განვითარება გაგრძელდა ყაჯართა მმართველობის ეპოქაში და საბოლოოდ დასრულდა ფეჰლე-ვეების მმართველობის დროს. იგი მდებარეობს ქალაქ ბირჯანდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ აქბარიეში. შენობების უმეტესობა ორსართულიანია.

ბაღის ლანდშაფტური და არქიტექტურული დაპროექტება, ტრადიციული სპარსული ბაღის «ჩაჰარ ბაღის» პრინციპს ექვემდებარება. 2011 წელს, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 35-ე ყრილობაზე, აქბარიეს ბაღი სხვა 8 ირანულ ბაღთან ერთად, ნომრით 1372-009, შეიტანეს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.



მოსთოუფის სახლი



მუსთოფის სახლი მდებარეობს ქალაქ ბოშრუიეში, მოლა აბდულა ბოშრუის ქუჩაზე, მოსთოუფის ხეივანზე. დიდგვაროვანთა სასახლე ყაჯარული პერიოდით თარიღდება, ის ეკუთვნოდა შიროვნებს, სახელად მოსთოუფის. მოსთოუფის სახლის არქიტექტურული სტილი, ულამაზესი ქარსაჭერებითა და თაბაშირის დეკორაციებით, მნახველზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდებს.

ბუზარ ჯამერ ყაიენის სამარხი

ქალაქ ყაიენიდან სამხრეთით 5 კილომეტრში, აბუზარის მთის ფერდობზე, არის სამარხი, რომელიც ეკუთვნის XI-XII საუკუნეების ერთ-ერთ ცნობილ მისტიკოსს. სამარხის არქიტექტურა ჯერის ფორმისაა, ამენებულია არის ჩვენი წელთაღრიცხვით XIV-XV სს-ში. ცენტრალურ ნაგებობას აქვს ოთხი თალოვანი პარმალი და ერთი გუმბათი.



ბირჯანდის ციხე

ბირჯანდის ისტორიული ციხე ამენებულია შემალღებულ ბორცვზე და ქალაქის საცხოვრებელ უბანს გადაჰყურებს. ციხეს აქვს ოთხკუთხა ფორმა, ექვსი კოშკი გალაენის ოთხ კუთხეში და დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე. გალაენი



და კოშკები მთლიანად გამოუმწვარი აგურითაა ამენებულია და დაფარულია თიხის სსნარით. სამწუხაროდ, ციხის შიდა არქიტექტურული სივრცეები მთლიანად განადგურდა და შენობის შიგნით დიდი ღია სივრცეა დარჩენილი. ზეპირი გადმოცემით, ციხეს მიწისქვეშა გვირაბები აკავშირებდა გალაენის გარეთ მდებარე საცხოვრებელ სახლებთან, რათა საფრთხის შემთხვევაში მოსახლეობას ციხისთვის შეეფარებინა თავი. ციხეს თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა, მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოა, რომ იგი ემთხვეოდეს ქალაქის ფორმირების თარიღს, ანუ სეფიანთა პერიოდს.

შოუქათიეს სკოლა

ეს შენობა ყაჯარული პერიოდს მიეკუთვნება, ამენებულია მოჰამად ისმაილ ხანის, მეტსახელად შოუქათ ოლ-მოლქ პირველის ბრძანებით, 1895 წელს. თავდაპირველად შენობა დაპროექტდა და ამენდა ჰოსეინიეს (ადგილი, სადაც იკრიბებიან შიიტი მუსლიმები აშურას დღეს სამგლოვიარო ცერემონიისთვის) დაარსების მიზნით, სადაც დიდი შეკრებების და მასშტაბური რელიგიური ცერემონიების მოწყობა






იქნებოდა შესაძლებელი. ჰოსეინიე, რომელიც ეკუთვნოდა შოუქათ ოლ-მოლქის ოჯახს, შოუქათიეს ჰოსეინიეს სახელითაც გახდა ცნობილი. მოგვიანებით, 1906 წელს, ამირ შოუქათ ოლ-მულქ II-მ (ისმაილ ხანის ძმა), დარ ოლ-ფონუნის (ირანის პირველი საუნივერსიტეტო ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დაარსდა 1851 წელს) წარმატებულ მაგალითზე, გადაწყვიტა დაეარსებინა შოუქათიეს სკოლა და ჰოსეინიეს შენობა, აშურას დღეების გარდა, დარჩენილი პერიოდის განმავლობაში სასწავლო პროცესისთვის დაეთმო. შოუქათიეს სკოლა, დარ ოლ-ფონუნისა და რაშიდიეს სკოლის შემდეგ, მესამე ახალი ტიპის სკოლაა ირანში.

ქოლაჰფარანგის ციტადელი

ამ შენობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქალაქის დაგეგმარებაში. ის ეკუთვნის ხაზიმე ალამის დინასტიის ერთ-ერთ ხანს. ისტორიულად, ალამის გვარი თავდაპირველად სეფიანთა კარზე გამოჩნდა, რომლის წარმომადგენლები შემდგომშიც, სხვა დინასტიის მეფეთა კარზეც წარმატებულად მოღვაწეობდნენ. მე-17 საუკუნის დასაწყისში მათ საკმაო



ძალაუფლება მოიპოვეს. ეს ოჯახი მოგვიანებით დამოუკიდებლად მართავდა ყოჰესტანის , რომლის ამჟამინდელი ცენტრი ბირჯანდია. ჰესამ ად-დოულემ, რომელმაც დაიპყრო ყაინათის მხარე, ეს ციტადელი მისი მმართველობის ცენტრად და ადგილად აქცია, ამიტომ ამ ციტადელის თავდაპირველ სახელია ჰესამ ად-დოულეს ციტადელი, მაგრამ შენობის ზედა ნაწილის საზაფხულო ფანჯატურთან (სპარსულად ქოლაჰფარანგი) მსგავსების გამო, ხალხმა შენობას ქოლაჰფარანგის ციტადელი დაარქვა.





გამოჩენილ მოღვაწეთა ეროვნული მუზეუმი

მუზეუმი მდებარეობს აქზარიის ზალისა და სასახლის ტერიტორიაზე და ამ კომპლექსის უძველეს შენობას წარმოადგენს. იგი განეკუთვნება ზენდების გვიანდელ პერიოდს.

შენობა თავდაპირველად ამირ ალემ ხანის, «ჰემმათ-ოლ-მოლქ ალემის» სამთავრობო რეზიდენცია იყო. მის ორ განყოფილებაში - «გამოჩენილი სახეები» და «ნაშრომები და ძეგლები», წარმოდგენილია პროვინციის ცნობილი და გამოჩენილი ადამიანები (ზარელიეფების სახით) სამ დარგში - მეცნიერება, ლიტერატურა, რელიგია.

პროვინციის ყველაზე ძველ გამოჩენილ მოღვაწეებს შორის, რომლებიც წარმოდგენილი არიან მუზეუმში, შეგვიძლია დავასახელოთ იბნ ჰესამ ხოსფი, ჰაქიმ ნაზარი, ჰაქიმ ზომარტომეჰრ ყაიენი, აბდულ ალი ბირჯანდი და ბადიოლზამან ფორუზანფარი.

გარდა ამისა, მუზეუმში წარმოდგენილი არიან ირანული მეცნიერების ის ფუძემდებლები, რომლებიც წარმოშობით ამ პროვინციიდან არიან, მათ შორის: პროფესორი მოჰამად ჰასან განჯი (ირანის ახალი გეოგრაფია და მეტეოროლოგია), დოქტორი მეჰდი ბალადი მუდი (ტოქსიკოლოგია), დოქტორი ქაზემ მოთამედ ნეჟადი (კომუნიკაციები), დოქტორი ლოლამჰოსეინ შოქოჰი (განათლება და პედაგოგია), დოქტორი მოჰამად ესმაილ რიზვანი (თანამედროვე ისტორია და ირანის პრესის ისტორია), დოქტორი სეიედ მოჰამად მეჰქუჰი (ეკონომიკური მეცნიერება) და დოქტორი ალი აქბარ ბაჰრემანი (ორთოდონტია).



ბირჯანდის არქეოლოგიური მუზეუმი

სამხრეთ ხორასნის პროვინციაში უდიდეს არქეოლოგიურ მუზეუმად ითვლება ბირჯანდის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც აქზარიის სასახლის პირველ სართულზე გაიხსნა 1992 წელს. 1995 წელს, განხორციელდა მუზეუმის სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოები და 600 კვ. მეტრის ფართობის მუზეუმი კიდევ უფრო გაფართოვდა.

მუზეუმში წარმოდგენილია არტეფაქტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულიდან ყაჯარული ეპოქის ჩათვლით; აქ ნახავთ სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელს, მონეტებს, ლითონის ნაკეთობებს, იარაღს და სამხედრო აღჭურვილობას, ყურანისა და სხვა ხელნაწერების მდიდარ ექსპოზიციებს. ბირჯანდის არქეოლოგიურ მუზეუმს აქვს არაჩვეულებრივი სარკეებიანი დარბაზი.

კაუზანი





ექსპონატა შორის თიხის ჭურჭლის და მონეტების სამუზეუმო კოლექცია ყველაზე მოცულობითია. წარმოდგენილია სხვადასხვა ისტორიული პერიოდის თიხის ჭურჭელი, დანყებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულის უბრალო გამოუმწვარი თიხის ჭურჭლით, დამთავრებული ისლამური პერიოდის მოჭიქული, მოხატული ქაშანურით.

მუზეუმის პრეისტორიულ განყოფილებაში გამოფენილია ნეოლითური პერიოდის არტეფაქტები (ძვ. წ. II ათასწლეული), რომელთაგან ზოგიერთი ითვლება ხელოვნებისა და ხელოსნობის ევოლუციად ოთხი ათასი წლის წინ, ნაწილი კი ძირითადად პრაქტიკული იარაღებია.

მუზეუმის მონეტების კოლექციაში წარმოდგენილია აქემენიდების, სელევკიდების, პართიის, ელამის და სასანიდების ეპოქაში, ასევე ისლამის შემდგომი ეპოქის სხვადასხვა დინასტიის მმართველობის დროს მოჭრილი მონეტები.

ბოშრუეის ანთროპოლოგიის მუზეუმი

ბოშრუეის ანთროპოლოგიის მუზეუმი დაპროექტდა და ამოქმედდა 2008 წელს, კერძო სექტორის თანამშრომლობით ქალაქ ბოშრუეის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში, რომელიც სეფიანთა ეპოქის დიდი მეცნიერის მოლა აბდალა თუნი ბოშრავის დაბადების ადგილია. მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები მოიცავს წინა და პოსტ ისლამური პერიოდის თიხის ჭურჭელს, იმამ ალის მმართველობის დროინდელ მონეტებს, საწერ მოწყობილობებს, ხელნაწერ ყურანებს და სხვა ხელნაწერებს, ტრადიციულ ტანსაცმელს, სანათებს, ბოქლომებს და ზარებს, საბრძოლო იარაღებს და ა.შ., ამ მუზეუმის ერთ-ერთი განსაკუთრებული ექსპონატია თავისი ცოცხლად დასაჭერი ხაფანგი, რომელიც ხაზს უსვამს ბოშრუეის მცხოვრებთა ჰუმანურ დამოკიდებულებას ყველა ცოცხალი არსების მიმართ. ქალაქ ბოშრუეის მაცხოვრებლები ცხოველთა უფლებების დიდი გულშემატკივრები არიან.



მცხოვრებთა ჰუმანურ დამოკიდებულებას ყველა ცოცხალი არსების მიმართ. ქალაქ ბოშრუეის მაცხოვრებლები ცხოველთა უფლებების დიდი გულშემატკივრები არიან.



ჰელვანის უდაბნო

ჰელვანის უდაბნო, უღამაზესი და ხელუხლებელი ბუნებით, ქალაქ თაბასიდან ჩრდილო-დასავლეთით 80 კმ-ში, ისტორიულ სოფელ ჰელვანთან ახლოს, სოფელ მისრის აღმოსავლეთით მდებარეობს. 750 კვადრატული კილომეტრის ფართობის უდაბნოს, სამკუთხა ფორმა აქვს. ჰელვანის უდაბნოს მახლობლად ისეთი ცნობილი უდაბნოების არსებობის გამო, როგორცაა ხორი, ბიბანქი, მისრი და სხვა, ჰელვანის უდაბნო ირანის ერთ-ერთი ყველაზე განმარტოებულ

უდაბნოდ ითვლება.

თაბასის უდაბნო, ცნობილი როგორც ირანის უდაბნოების პატარძალი, გამოირჩევა უნიკალური ხედვით, ამსოლუტური სიჩუმი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცით. ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ უდაბნოს მშრალი ბუნება ყოველგვარ სიცოცხლეს მოკლებულია, მაგრამ ასე არ არის. ჰელვანის უდაბნო სავსეა ცხოველებითა და უდაბნოს მცენარეებით. ჰელვანის უდაბნოს ხავერდოვანი ქვიშა და მათ დიუნებს შორის სეინობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს მნახველებზე.

ჰელვანის უდაბნო ირანის ერთ-ერთ ყველაზე ხელუხლებელ უდაბნოდ ითვლება.

მარსის მთები

მარსის მთები, სხვა სახელით მინიატურული მთები, მდებარეობს ქალაქ ნეჰბანდანის დასავლეთით 5 კილომეტრში. მთები ერთი კილომეტრის სიგანისა და 25 კილომეტრის სიგრძისაა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გეოლოგიური მოვლენა აღმოსავლეთ ირანში. ასეთი მთები ირანში მხოლოდ ქალაქებში ჩაბაჰარსა და ნეჰბანდანშია. მარსის მთები ნეჰბანდანში ითვლება ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირსშესანიშნობად. წვიმისა და ქარის ერობის შედეგად წარმოქმნილი დანალექი და დაკბილული ტიპის მთები, წითელი და ნაცრისფერია.



ჰემათაბადის უდაბნო



ჰემათაბადის უდაბნო მდებარეობს ქალაქ ზირქუჰიდან 60 კილომეტრში, სოფელ ჰემათაბადის მახლობლად. იგი მცენარეული და ცხოველური საფარის მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ირანის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და აქტიური უდაბნოს ბიომია. უდაბნოს გაზაფხული მარტის პირველი რიცხვებიდან იწყება და მაისის დასაწყისამდე გრძელდება. ამ ორი თვის განმავლობაში, აქ, მსოფლიოს ყველაზე მშრალ ადგილას, იქმნება უღამაზესი



ბუნებრივი პეიზაჟები, რომლებიც მნახველის აღფრთოვანებას იწვევს. ჰემათაბადის უდაბნოში იშვიათი უდაბნოს ცხოველები ბინადრობენ. ეს ტერიტორია შესაფერისი ჰაბიტატია ფრინველებისთვის გამოსამამთრებლად, მათ შორის ბელურისნაირთა, სავათისებრთა და სხვა. აქ შეხვდებით ისეთი სახეობის ცხოველებს, როგორებიცაა უდაბნოს კატა, მელა და სხვა.

ჩაჰარდეჰის ჩანჩქერი

ჩაჰარდეჰის ჩანჩქერების კომპლექსი ბირჯანდში, 80 დიდი და პატარა ჩანჩქერისგან შედგება, რომლებიც ბაყერანის მწვერვალის მარშრუტზე მდებარეობს და სამხრეთ ხორასნის ერთ-ერთ ულამაზეს სანახაობად ითვლება. ჩანჩქერების ეს კომპლექსი ქმნის ულამაზეს ხედს. იგი მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის ჩაჰარდეჰის გვერდით, რომელიც ბაყერანის ქედის ძირას არის გაშენებული. მათგან ყველაზე დიდი ჩანჩქერის სიმაღლე შვიდი მეტრია.



ელფების ხეობა



ელფების არხი ან ელფების ხეობა, ულამაზესი, საოცარი ხეობაა, რომელიც მდებარეობს ქალაქ თაბასიდან ჩრდილოეთით, სოფელ აზმილანის გზის გასწვრივ და მის მახლობლად მდებარე მინისქვეშა წყალსადენი არხის (ყანათის) გამოსასვლელთან.

მინისქვეშა არხის კედლებზე ჩაღრმავებებია, რომლებიც, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, უკავშირდება ძველ ირანში მითრიაზმისა და ამ რელიგიასთან დაკავშირებულ საკრალურ ცერემონიებს.

სოფელი აზმილანი

სოფელი აზმილანი ტურისტებს განსაკუთრებით ორი რამით იზიდავს – ბრინჯის ყანებითა და მათ გარშემო ფინიკის პალმებით. მსგავს სანახაობას ირანის ვერც ერთ სხვა რაიონში ვერ შეხვდებით.

აზმილანი, თაბასის შაჰრესთან ერთ-ერთი ულამაზესი ტურისტული მარშრუტია და მისი ცენტრიდან აღმოსავლეთით 35 კილომეტრში მდებარეობს. სოფლის მოსახლეობა სოფლის მეურნეობითა და მეცხოველეობით არის დაკავებული.

აზმილანი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სოფლებს შორის, რომელსაც აქვს მუდმივი წყალი - მდინარეები, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობაში სარწყავად გამოიყენება.

მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით ეს სოფელი გამორჩეულია ირანში, სადაც ბალჩეული პროდუქტების, პალმის, ციტრუსების და ყველა სეზონის სხვა ხილის გარდა, ბრინჯიც მოჰყავთ. სწორედ კლიმატური პირობები და უპირატესობები (მდინარეები, მუდმივი სარწყავი წყალი) განაპირობებს მისი მინის უხვმოსავლიანობას და ისეთი კულტურების გვერდიგვერდ მოყვანას, როგორებიცაა ბრინჯი და ფინიკი.





ხელოსნობა და ტრადიციული რეწვა



თითოეული რეგიონის ხელოსნობასა და ტრადიციული რეწვაზე გავლენას ახდენს კონკრეტულად იმ რეგიონის კულტურული, გეოგრაფიული და ისტორიული გარემო. განსაკუთრებული გეოგრაფიული და კულტურული პოზიციიდან გამომდინარე, დიდი ხორასნის სამხრეთ რეგიონს აქვს საკუთარი დამახასიათებელი ხელოსნობის და ტრადიციული რეწვის სტილი. უძველესი დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს ყოველსტანის რეგიონის ხელოსნობის შესახებ, არის „ალ-ტაბარის ისტორია“.

არაერთი მკვლევრის და ისტორიკოსის აზრით, სამხრეთ ხორასნის ხელოსნობა-ხელნაკეთობების ისტორია ათას წელზე

მეტ წელს ითვლის. ქვეყანაში ხელოსნობისა და ტრადიციული ხელოვნების 250-ზე მეტი გამოვლენილი და კოდირებული სფეროდან, 75-ზე მეტი იყო ან არის აქტიური სამხრეთ ხორასნის პროვინციაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადგილობრივი, უნიკალური დიზაინის და მოტივების ორიგინალურობა.

აგრეთვე სამხრეთ ხორასნის პროვინციის ტრადიციული რეწვის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება ხელნაკეთი ნივთების წარმოებაში.

ამ პროვინციაში ყველაზე გავრცელებული და პოპულარული



რეწვის სფეროებია: ნოხების, ფარდაგების ნაირსახეობების (გილიმი, ჯეკიმი), ტრადიციული ტექსტილის (შალის, ბამბის ქსოვილები) ქსოვა, ქარგვა, თექა, კალათების დანვან-დამზადება, მეთუნეობა და ტრადიციული სახარატო საქმეები.



ირანის სომხური სამონასტრო ანსამბლი მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში, დასავლეთ აზერბაიჯანის და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსთანებში, ესენია: წმინდა თადეოსის მონასტერი (სურბ თადეოსი ვანქ, ან ყარა ქელისა), წმინდა სტეფანეს მონასტერი (სურბ სტეფანოს ვანქ) და ძორძორის წმიდა ღვთისმშობლის სამლოცველო.

ირანის სომხური სამონასტრო ანსამბლი

ყარა ქელისა

წმინდა თადეოსის მონასტერი, სომხურად სურბ თადეოსი ვანქ, ასევე ცნობილია სახელით «ყარა ქელისა» (შავი ეკლესია), უძველესი სომხური მონასტერია დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის მთიან მხარეში, ქალაქ სიაჰჩემედან 20 კმ.-ში.

სომხური მოციქულთა ეკლესიის ტრადიციის თანახმად, წმიდა მოციქული იუდა თადეოზი, ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი, სახარებას სომხეთსა და სპარსეთში ქადაგებდა. მან ქრისტეს სჯულზე მოაქცია ადგილობრივები და მეფის ასული სანდუხტიც.

66 წელს, სომხეთის მეფე სანტრუკმა ციხეში ჩასვა თადეოზი მოციქული, ქალწული სანდუხტი და კიდევ ქრისტეს სჯულზე მოქცეული რამდენიმე ადამიანი და სასტიკად აწამა ისინი. მოციქულმა თადეოზმა და ქალწულმა სანდუხტმა მონაწილეობა დაასრულეს სიცოცხლე.

წმინდა თადეოზი დაკრძალეს ყარა ქელისას ამჟამინდელი მდებარეობის ადგილას. მის სახელზე აშენებული პირველი ეკლესია ახლანდელი «ყარა ქელისას» ადგილას აიგო და IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ეკლესია თავიდანვე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სომხურ სალოცავს წარმოადგენდა. ტაძრის, რომლის აგებასაც წმინდა გრიგოლ განმანათლებლის სახელს მიაწერენ, პირვანდელი სახის და ხუროთმოძღვრული დეტალების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. ტაძარი შავი ქვისგანაა ნაგები, რომლის ნაშთებიც ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილშია შემორჩენილი და სწორედ აქედან გამომდინარე დაერქვა სახელი «ყარა ქელისა» – „შავი ეკლესია“ (ყარა აზერბაიჯანულად შავს ნიშნავს). ისტორიულ წყაროებში ეკლესია ამ სახელით VIII საუკუნიდან მოიხსენიება.



წმინდა თადეოზის ეკლესია, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ ძველ ეკლესიადაა მიჩნეული. ყოველწლიურად, ივლისის თვის ბოლო დღეებში და აგვისტოს პირველ კვირაში, სომეხთა ეკლესია წმინდა თადეოზი მოციქულის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ დღეს ყარა ქელისაში განსაკუთრებული ცერემონია და ლოცვა აღევლინება. მონასტრის ამჟამინდელი სახე, ტაძრის მეორე რეკონსტრუქციის შედეგად არის მიღებული (XIII ს.). ეკლესიის შენობის დიდი ნაწილი, XIX საუკუნის ადრეული წლებით თარიღდება, როდესაც ყაჯარების დინასტიის პრინცის, აბას მირზას დახმარებით მონასტერს აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა.

1956 წლის 1 თებერვალს, ყარა ქელისას ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 2008 წლის 7 ივლისს, ირანის სამი სომხური სამონასტრო ანსამბლი – წმინდა თადეოზის მონასტერი, წმინდა სტეფანეს მონასტერი და ძორძორის სამლოცველო, შეტანილი იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

წმინდა სტეფანეს მონასტერი

წმინდა სტეფანეს სომხური მონასტერი (სურბ სტეფანოს ვანქ), დასავლეთ აზერბაიჯანის ოსთანში, ქალაქ ჯულფადან 15 კმ. ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე არაქსის ღრმა ხეობაში, ირან-აზერბაიჯანის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს.

წმინდა სტეფანე მონამეობრივად აღსრულებული პირველი ქრისტიანი იყო. მის სახელზე მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ეკლესიაა აგებული. იმის გამო რომ ეკლესია მიტოვებულია და ძნელად მისასვლელ ადგილისაა, მას «ხარაბა ქელისა» – დანგრეულ ეკლესიასაც უწოდებენ. შენობის არქიტექტურული სტილი, გამოყენებული სამშენებლო მასალები, დეკორის ელემენტები, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეკლესია აშენებულია X-XIII საუკუნეებში. მისი არქიტექტურული სტილი, ურარტული, პართიული და რომაული არქიტექტურულ სტილთა სინთეზს წარმოადგენს, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა სომხური საეკლესიო არქიტექტურული სტილის სახელით. წმინდა სტეფანეს ეკლესია, ირანში მნიშვნელობით მეორე სომხური ეკლესიაა ყარა ეკლესიის შემდეგ. ეკლესიის შენობა მიწისძვრების შედეგად დაზიანების შემდეგ, სეფიანთა იმპერიის პერიოდში შეკეთდა.



1963 წლის 6 მარტს, წმინდა სტეფანეს ეკლესიას ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეკლესიას პატივს მიაგებს ყველა ქრისტიანი და მეტ-ნაკლებად ყველა სხვა რელიგიის წარმომადგენელიც. წელიწადის ერთ დღეს, ათასობით სომეხი იკრიბება ამ ადგილას განსაკუთრებული ცერემონიებისა და რიტუალების შესასრულებლად.

ძორძორის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამლოცველო

ღვთისმშობლის სახელობის სამლოცველო 1315-1342 წლებში, დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის ქალღორანის მხარეში, წმინდა თადეოზის ეკლესიის მთავარეპისკოპოსოზ ზაქარაის მიერ ღვთისმშობლის სახელზე აშენდა. ეს სამლოცველო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრი იყო, სადაც ცნობილი სომეხი მოღვაწე, ეპისკოპოსი იოანეს ერზნაღაცი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ძორძორის ჯვარგუმბათოვანი სამლოცველო, ისევე როგორც სხვა იმ პერიოდში აგებული სომხური ეკლესიები, აშენებულია სხვადასხვა ზომის თლილი ქვებით. ეკლესიის ფასადი ძალიან სადაა, სარკმელების გარშემო არსებული სვეტების დეკორაციით.



1987-1988 წლებში მდინარე ზანგმარზე კაშხლის მშენებლობა დაიწყო. სამლოცველო სწორედ იმ ადგილას იდგა, სადაც კაშხლის საყრდენი კედელი უნდა აგებულიყო და დამტკიცებული პროექტის მიხედვით, კაშხლის მშენებლობის დასრულების შედეგად, სამლოცველო, კაშხლის წყალსატევში ჩაიძირებოდა. მეორე მხრივ, სადერივაციო გვირაბების გთხრამ და სამშენებლო აფეთქებების სერიამ დიდი ზიანი მიაყენა ეკლესიას. სამლოცველოს გადასარჩენად მოხდა შეთანხმება ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციას, ენერჯეტიკის სამინისტროს, რეგიონალური წყლისა და ელექტროენერჯის ორგანიზაციას შორის სამლოცველოს სხვა ადგილზე გადატანის თაობაზე.

კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციისა და სომხეთის რესპუბლიკის ექსპერტებისა და არქიტექტორების თანამშრომლობით, 25 დღის განმავლობაში, მოხდა ეკლესიის დაშლა. ქვები მოიხსნა და დაინომრა ფენების და განლაგების მიხედვით და სამლოცველო, კაშხლის მშენებლობის ადგილიდან 600 მეტრით უკან გადაინიჭა. წელიწადის თბილი დრო ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია აქ სამოგზაუროდ.

აღიღწა, სადაც კაშხლის საყრდენი კედელი უნდა აგებულიყო და დამტკიცებული პროექტის მიხედვით, კაშხლის მშენებლობის დასრულების შედეგად, სამლოცველო, კაშხლის წყალსატევში ჩაიძირებოდა. მეორე მხრივ, სადერივაციო გვირაბების გთხრამ და სამშენებლო აფეთქებების სერიამ დიდი ზიანი მიაყენა ეკლესიას. სამლოცველოს გადასარჩენად მოხდა შეთანხმება ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციას, ენერჯეტიკის სამინისტროს, რეგიონალური წყლისა და ელექტროენერჯის ორგანიზაციას შორის სამლოცველოს სხვა ადგილზე გადატანის თაობაზე.

კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციისა და სომხეთის რესპუბლიკის ექსპერტებისა და არქიტექტორების თანამშრომლობით, 25 დღის განმავლობაში, მოხდა ეკლესიის დაშლა. ქვები მოიხსნა და დაინომრა ფენების და განლაგების მიხედვით და სამლოცველო, კაშხლის მშენებლობის ადგილიდან 600 მეტრით უკან გადაინიჭა. წელიწადის თბილი დრო ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია აქ სამოგზაუროდ.

კაშხალი

قالی سالار خان ترکمن

تاریخچه ی بافت قالی سالار خان به سال 1277 شمسی در دوره ی قاجار باز می گردد. این قالی بافتی تمام ابریشم دارد و طبق نقشه ی یک دوم و شیرازه ی متصل بافته شده است. طرح بافت نیز یموت نام دارد.

قالی تلفیقی گلدانی مشهد

قالی تلفیقی، در سال 1350 شمسی توسط شرکت آستان قدس رضوی بافته شد. مترای این قالی معادل 24 متر است و حاوی 34 گره نامتقارن از جنس نخ و پشم می باشد. شرکت آستان قدس رضوی در طی فرایند بافت این قالی از نقشه ی سراسری و یک چهارم و شیرازه ی متصل شامل کتیبه در دو سر قالی بهره گرفته است.

سکه های غنی موجود در موزه ملی


در موزه ی ملک قریب 3000 مدال و طلا وجود دارد. این سکه های نفیس از ادوار یونانیان (6 قرن قبل از میلاد) تا آخرین حکومت ایرانی (پهلوی) بر جای مانده است.



بنابراین در مجموعه سکه های موزه، انواع سکه های یونانی، بیزانسی، ساسانی، سلوکی، خلیفه های اموی، عثمانی و اسلامی یافت می شود.

- درهم هرمز چهارم ساسانی یا درهم شاپور دوم ساسانی در موزه ملک
- از دیگر بخش های متعدد موزه ی ملک می توان به موارد قید شده اشاره کرد:
- نمایشگاه دائمی آثار لاک: دربرگیرنده ی 86 قطعه قلمدان، سرقلیان و قاب آیینه
- نمایشگاه دائمی حاج حسین آقا ملک: شامل تصاویری از موقوفات و بخشی از زندگی حاج حسین ملک می باشد.
- نمایشگاه دائمی بانو عزت ملک: در این مجموعه آثار اهدا شده توسط بانو عزت ملک برای شرح هنرهای ایرانی و اسلامی وجود دارد.
- نمایشگاه دائمی کتابت و نگارگری: در این نمایشگاه آثار نگارگری، تذهیب، خطاطی و کتاب آرایی جلوه نمایی می کنند.
- نمایشگاه دائمی خاندان غفاری و کمال: در این مجموعه آثار استاد کمال الملک گرد آوری شده است.
- کارگاه های آموزشی
- آیین های وقف نامه ای

مجموعه کتاب های داخل موزه ملک شامل:



- اسناد
- مواد دیداری و شنیداری
- کتب انگلیسی
- کتب فرانسوی
- کتب چاپ سنگی
- نسخ خطی
- کتب روسی
- نشریات ادواری
- کتب با تلفیقی از زبان فارسی و عربی

مجموعه فرش در موزه ملک

در مجموعه ی فرش حدود 34 تخته قالیچه و قالی نفیس و ارزشمندی قرار دارد.



- قالی نقش باغی تبریز: متعلق به دوره پهلوی
- قالیچه جانمازی کف ساده سنندج: منتسب به دوره قاجار
- سالار خانی ترکمن: منسوب به دوره ی قاجار
- بوته ترمه بیجار: از دوره ی پهلوی
- شکارگاهی تهران: دوره ی پهلوی
- لچک ترنج نائین: از دوره ی پهلوی
- افشان شاه عباسی مشهد: برجای مانده از دوره ی قاجار
- لچک ترنج اصفهان: از دوره ی پهلوی
- صوف باف کاشان: از دوره ی قاجار
- قالیچه ی لچک ترنج کاشان: متعلق به دوره ی قاجار از نورالله اسماعیل زاده
- ترنجدار شاه عباسی مشهد: از دوره ی پهلوی
- گلابتون کاشان: از دوره ی قاجار
- خورجین: پهلوی
- افشانم شاه عباس مشهد: برجای مانده از حاج عبدال در دوره ی پهلوی
- تلفیقی گلدانی مشهد: متعلق به شرکت آستان قدس رضوی در دوره ی پهلوی

چهار قالی منحصر به فرد در مجموعه ی فرش موزه ملک

قالی ظل السطانی سمنان

قالی ظل السطانی یکی از قالی های دست بافت در داخل موزه ی ملک است که از جنس نخ و پشم به رنگ نخودی بافته شده است. تاریخچه ی بافت این قالی بی نظیر و نفیس به قرن 14 در دوره ی پهلوی باز می گردد.

قالیچه افشان دسته گلی نائین

قالیچه ی دسته گلی، ریز بافت ترین قالیچه ی دست بافت در موزه ی ملک است که متعلق به دوره ی پهلوی می باشد. در طراحی بافت دسته گلی از گل های سفید با جنس ابریشم و گل های آبی رنگ در اطراف حاشیه ی قالیچه استفاده شده است. نقشه ی قالیچه نیز شیرازه ی متصل و سراسری می باشد.

کوشش‌های کتابخانه و موزه ملی ملک برای خدمات‌رسانی به مخاطبان به شمار می‌آید. کتابخانه و موزه ملی ملک تا سال 1375 خورشیدی در خانه ملک در بازار بین‌الحرمین تهران برپا بود. ساختمان تازه در محوطه تاریخی باغ ملی (میدان مشق) تهران، به کوشش آستان قدس رضوی در زمینی بنا شد که حاج حسین آقا ملک در سال 1323 خورشیدی برای ساختمان جدید کتابخانه و موزه وقف کرده بود. کتابخانه ملی ملک جزو یکی از کتابخانه‌های بزرگ ایران با موضوع نسخه‌های خطی در تهران است.

موزه ملی ملک

موزه ملک، اولین موزه وقفی در ایران است که توسط حسین آقا ملکی وقف شد. در این موزه کتابخانه و اشیای گران‌بهای قدیمی قرار دارد. موزه ملی ملک حاکی از تمدن پرشکوه ایرانی و اسلامی دارد.

موزه ملی ملک از منظر بنای تشکیلاتی موسسه‌ای غیرانتفاعی (غیردولتی) می‌باشد و مانند سایر موسسات آستان قدس رضوی تحت سرپرستی آستان قدس رضوی قرار دارد.



هدف از تاسیس موزه ملی ملک

- گسترش فرهنگ نگهداری از اموال وقفی و اجرای وقف نامه مرحوم حاج حسین ملک
- به ثمر رساندن فرهنگ اسلام
- مرمت و بازشناسی آثار فرهنگی هنری دوران گذشته‌ی تاریخ
- حفظ و صیانت از گنجینه داخل کتابخانه
- انتشار کتاب‌های تخصصی مانند کتاب‌شناسی امام رضا (ع) و حضرت محمد (ص)

وجه تمایز موزه ملی ملک


مجموعه کتاب‌های موجود در موزه ملک

از موزه ملک با عنوان کتابخانه ملی نیز یاد می‌کنند. کتابخانه ملک متشکل از دو بخش خدمات فنی و خدمات عمومی می‌باشد. در قسمت خدمات عمومی کتابخانه، مطبوعات و تحقیقات عمومی صورت می‌گیرد و در بخش فنی مطالب را سازمان‌دهی و فراهم‌آوری می‌کنند.

به‌طور کلی شش گنجینه‌ی حامل نسخه خطی در ایران وجود دارد. یکی از مهمترین این گنجینه‌ها، کتابخانه‌ی موزه ملی ملک است که به دلیل وجود 19 هزار نسخه‌ی خطی نفیس حائز اهمیت است.

علاوه بر این، حدود 3400 کتاب چاپ سنگی، 548 نشریه‌ی ادواری در 4000 جلد و 70 هزار کتاب چاپی در کتابخانه‌ی موزه ملی موجب ارزشمند شدن کتابخانه شده است. در واقع اغلب این کتاب‌ها جزو اولین کتاب‌های چاپی ایران هستند لذا حاوی مطالب ارزشمندی هستند.

لازم به ذکر است مجموعه‌های کتابخانه ملک طبق خط‌مشی‌ها به علوم انسانی گرایش دارد و آثار خوشنویسی هنرمندانی سرشناس ایرانی از قبیل یاقوت مستعصمی، میرعماد، میرزا غلامرضا اصفهانی و علیرضا عباسی به چشم می‌خورد.



آشنایی با موزه ملک



منبع: سایت موزه ملی ملک

پیشینه:


حاج حسین آقا ملک، بنیان‌گذار کتابخانه و موزه ملی ملک، این گنجینه را در سال 1316 خورشیدی بر آستان قدس رضوی وقف کرد. کتابخانه و موزه ملی ملک اکنون یکی از موسسه‌های فرهنگی آستان قدس رضوی است که به شیوه غیر دولتی و غیر انتفاعی در چارچوب وقف‌نامه زیر نظر مستقیم آستان قدس رضوی فعالیت می‌کند و برپایه اساس‌نامه هدف‌هایی گوناگون همچون پیشبرد معارف، اجرای وقف‌نامه و گسترش فرهنگ وقف حفاظت از گنجینه، گردآوری به‌هنگام‌سازی و گسترش منابع و بازشناسی آثار



تاریخی و فرهنگی روزگاران گذشته دارد.

کتابخانه ملی ملک با داشتن بیش از 19 هزار عنوان نسخه نفیس خطی، یکی از شش مجموعه بزرگ نسخه‌های خطی در ایران است. کتابخانه در کنار نسخه‌های خطی و چاپ سنگی، بیش از یکصد هزار جلد کتاب چاپی به زبان‌های گوناگون، همچنین نشریاتی از دوره قاجار تاکنون، هزاران برگ سند و بیش از صدها عنوان منبع دیداری و شنیداری در خود دارد. کتابخانه ملی ملک با دو تالار مطالعه عمومی آقایان و بانوان و یک تالار ویژه محققان و نشریات، خدمات و امکاناتی گوناگون به پژوهشگران ارائه می‌دهد.

موزه ملی ملک، گنجینه‌ای سه هزار ساله از آثار و اشیای ارزشمند تاریخی در زمینه‌های گوناگون دارد. آثار تاریخی کتابخانه و موزه ملی ملک اکنون در 11 تالار و یک نگارخانه بدین ترتیب به نمایش درآمده‌اند: «سکه، نشان و مدال»، «آثار خاندان غفاری و کمال‌الملک»، «تک اثر»، «حاج حسین آقا ملک»، «خوش‌نویسی و نگارگری»، «آثار لاک»، «آثار اهدایی بانو عزت‌ملک ملک»، «نمایشگاه‌های دوره‌ای»، «تمبر»، «هزارداستان (گزیده داستان‌های



ایرانی - اسلامی)»، «هنر و زندگی (کاربرد هنر و صنایع در زندگی ایرانی - اسلامی)»، «علوم در ایران اسلامی». بهره‌گیری از فناوری‌های نوین دیجیتال به ویژه نمایشگرهای لمسی و امکانات شنیداری و دیداری از ویژگی‌های پاره‌ای تالارهای موزه‌ای به شمار می‌آید.

برگزاری نشست‌های علمی و کارگاه‌های آموزشی، همچنین انتشار کتاب، کتابچه، بروشور و دیگر محصولات فرهنگی از

ب) فیروزه کوبی: قبل از هر چیز صنعتگر فیروزه کوب خرده سنگهای فیروزه ی غیر قابل استفاده را از کارگاههای فیروزه تراشی و یا معادن فیروزه ی مشهد، نیشابور و دامغان خریداری می نماید.

از آنجا که این خرده سنگها با مقادیری خاک و خرده سنگهای معمولی همراه می باشد ابتدا آنها را از ضایعات دیگر جدا و تمیز می نمایند. سپس خرده سنگهای فیروزه را بر حسب اندازه از یکدیگر تفکیک و باصطلاح دانه بندی می کنند تا در ساخت هر محصول فیروزه کوب از قطعه فیروزه یی متناسب تر با سطح کار فیروزه کوبی استفاده بعمل آید.



در مرحله ی بعد شیئی مورد نظر را گرم کرده (در حدود ۳۰ درجه C) و ضمن حرارت دادن روی قسمتهایی که باید فیروزه کوبی گردد

«لاک گردویی» می باشند بقسمتی که پودر لاک تقریباً ذوب شده و سطح قسمت مربوطه را بپوشاند.

در حالیکه هنوز لاک بر سطح شیئی نرم و مذاب بوده و حالت چسبندگی دارد مقداری از خرده سنگ های فیروزه که بر حسب اندازه ی لازم از قبل آماده شده روی کار قرار می دهند. سنگها باید طوری در کنار هم قرار گیرند که حتی الامکان فاصله یی بین آنها باقی نماند.

